

თამაზ ჭიჭინაძე

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტროს განყოფილება

დავნიანობის აქტი

სამართლებრივი აქტი

ეოქმედი პირები

- ნოდარი.
- რეზო.
- ანა.
- ექა.
- შათე.
- ბაბო.
- შალვა.

ეოქმელება პირველი

თბილისი. ნოდარის ბინა. სცენის კუთხეში ზის მათე — სოფლიდან ჩამოსული ბრმა მოხუცი.

1.

ანა და ეკა

ანა. რამდენჯერ უნდა გითხრა, რამდენჯერ უნდა გითხრა, რამდენჯერ, დანებე-მეთქი მაგ ფიქრს თავი!

ეკა. რატომ, რატომ უნდა დავანებო?

ანა. იმიტომ, რომ შენ თვითონ მოიგონე ყველაფერი.

ეკა. რომ იცოდე, როგორ მიკვირს...

ანა. მაინც რა გიკვირს?

ეკა. რატომ არ გინდა, ბედნიერი ვიყო?

ანა. მე არ მინდა?

ეკა. სუნთქვა შეკვრება ხოლმე. ასე მგონია, კიდე ერთი წუთი, არა, კიდე ერთი წამიც და ყველაფერი გათავდება!

ანა. ბავშვი ხარ და იმიტომ!

ეკა. არა, მიყვარს!

ანა. ნუ სულელობ!

ეკა. მრცხვენია, ანა, მაგრამ რა ექნა. რომ იცოდე, როგორ მრცხვენია...

2.

მათე და ეკა

მათე. მაინც შევცდი ამ ხნის კაცი. რომელმა ექიმმა უნდა დამიბრუნოს ის, რაც დრომ წაიღო? მაგრამ რომ არ დამაყენა სოფელმა? შემეჩვია და იმიტომ, უჩემობის ეშინია, თითქოს რამეს ვუკეთებდე. როცა შემეძლო, არაფერი დამიშურებია, არც დამიშალეობა, მაგრამ დროს თავისი ადამიანი აქვს, წამსვლელი უნდა წაეიდეს, მომსვლელს ადგილი უნდა დაუთმოს. რომ არ მიშვებენ? ცას ხომ არ გამოვეკერებ? ან რა გახდა ერთი მასწავლებელი, ან მე ისეთს რას ვასწავლიდი, სხვამ რომ ვერ შეძლოს? გიყვარდეთ-მეთქი ერთმანეთი, პურს ფეხს ნუ დადგამთ და ხალსს ნუ უღალატებთ-მეთქი, ხუთი ათასი წელია, ერთსა და იმავეს ვიმეორებ.

ეკა. მართლა ამ ხნისა ხარ მათე ბაბუა?

მათე. ხო, შვილო.

ეკა. ნოდარმა თქვა, აუცილებლად მოვარჩენო.

მათე. ნოდარი ყოჩაღი ბიჭია.

ეკა. შენ ძალიან უყვარხარ.

მათე. მეც ყველანი მიყვარხართ, შვილო. ყველანი ჩემები ხართ.

3

ნოდარი და ანა

შუა ოთახში გასაშლელი კიბის თავზე ნოდარი შემომჯდარა და ჭალს ამარბებს. ანა კიბესთან დგას, ნათურები უჭირავს.

ნოდარი. ძლივს არ ვიშოვნე ეს ჭალი? მაგრამ ხომ ვიშოვნე მაინც!

ანა. სწორედ ამისთანა კიბე...

ნოდარი. მომწალოდ ნათურა...

ანა (აწვდის). მოიტანეს ჩვენთან...

ნოდარი. რა გაცინებს?

ანა. სწორედ ამისთანა კიბე მოიტანეს ჩვენთან...

ნოდარი. როდის?

76

ანა. ათი წლის რომ ვიყავი.

ნოდარი. ვგეტყვით მომეცი ბარემ და მოვრჩეთ ამ საქმეს.

ანა (აწვდის). ხელოსნები რომ წავიდნენ, კიბეზე ავძვერი და ჭერის წითლად შეღებვა დავიწყე. დედამ მომისწრო და მაგრად მიმტყება.

ნოდარი. ვენაცვალე ხელებში! აი, ასე! რომელი ხელოსანი მჯობობს მე! (კიბეზე ჩამოდის, ანა ხელს ჰკიდებს.) ნუ გეშინია, ჩემი ჩამოვარდნა ასე ადვილია? მოგწონს? (ანა თავს უქნევს.) არ ბოგწონს?

ანა. როგორ არა.

ნოდარი. დახატა ოთახი! მაშ, წითლად ლებავდი ჭერს, პა...

ანა. ხო.

ნოდარი. რატომ? (ჭალს შესცქერის.) აბა, შუქი აანთე! (ანა რთავს შუქს) იფ, რა კარგია! (ანას მიუბრუნდება.) ჭერს წითლად ვინ ლებავს?

ანა. არავინ.

ნოდარი. ერთი ჭალიც უნდა ვიშოვნო ასეთი.

ანა. მაშინ ათი წლის ვიყავი.

ნოდარი (კიბე მიაქვს). ათი წლის ბავშვს უკვე ჭკუა მოეკითხება.. (გადის.)

4.

ეკა და ანა

ეკა. იცი, ახლა რას ვფიქრობდი? რა იქნებოდა, შენსავით ლამაზი რომ ვყოფილიყავი? და კიდევ, იცი რას ვფიქრობდი? ნეტა, ვინმეს ვუყვარდეთ-მეთქი...

ანა. მე ხომ მიყვარხარ?

ეკა. კიდევ იცო რას ვფიქრობდი? ნეტავ ანას შვილი გაუჩნდეს-მეთქი.

ანა. ეკა!

ეკა. ნეტავ, მათე ბაბუა მართლა მორჩებოდეს და შენი შვილებისთვისაც ესწავლებინოს.

77

ანა. დაიწყე: შენებურად?
 ეკა. კიდეც იცი რას ვფიქრობდი? ნეტავი ბავშვი ვიყო და არა-
 ფერი მესმოდეს... კიდეც იცი რას ვფიქრობდი?
 ანა. კარგი, გეყოფა!
 ეკა. აი, ცოტათი მაინც შენ რომ გგავდე. შენ ყველას უყვარხარ!
 ანა. შენ? შენ თუ გიყვარვარ?
 ეკა. ყველას! კიდეც იცი რას ვფიქრობდი? ხო, სამსახურს თავი
 უნდა დავანებო!
 ანა. სამსახურს? ეს უკვე რალაც ახალია!
 ეკა. იმიტომ, რომ არავის ვჭირდები.
 ანა. ნეტავი, შენ კუჭა მოგცა.
 ეკა. სხვათა შორის, მე ისეთი კარგი ექიმი ვიქნებოდი!
 ანა. ხო, იმ წუთას!
 ეკა. მართლა! მართლა!
 ანა. მშვენიერი სამსახური გაქვს და მოუარე. ნოდარმა ქვეყანა
 შეაწრიალა, შენთვის სამსახური რომ ეშოვო. შენგან ექიმი,
 არ გამოვა!
 ეკა. არაფერიც!
 ანა. მე მასწაველი?
 ეკა. ვთქვით, ქუჩაში მანქანა დაეჯახოს!
 ანა. ვის?
 ეკა. ანდა ტროლეიბუსი.
 ეკა. გამაგებინე, რას ლაპარაკობ.
 ეკა. ხომ შეიძლება ყინულზე ფეხი მოიტეხოს?
 ანა. ვის სწირავ ასე უსაშველოდ?
 ეკა. ანდა, ხომ შეიძლება ლაბორატორიაში რალაც აფეთქდეს?
 ანა. ეკა, ნუ გამოიყვან მოთმინებიდან, იცოდე!
 ეკა. რატომ არ შეიძლება, მე რომ რეზოს ვუყვარდე?
 ანა. რატომ არ შეიძლება, მაგრამ...
 ეკა. ვიცი, ვიცი, შენ რეზო არ მოგწონს... აბა, შეგუდგეთ საქმეს,
 დავაბნით ასანთი. (ასანთს აბნევს იატაკზე.)
 ანა. რა მუაშია, მე მომწონს თუ არა?
 ეკა. როდემდე უნდა ვიჯდე შინ, ალბათ, თავი მოგაბეზრეთ.
 ანა. ეკა?
 ეკა. ვხუმრობ, ვხუმრობ. უჰ, წელი მომწყდა.

ანა. პატარა აღარა ხარ, შენ იცი...
 ეკა. განა ეს ჩემზეა დამოკიდებული? დავილაღე!
 ანა. რატომ წვალობ?
 ეკა. (სიცილით). უნდა გავხდე, შენ უნდა დაგემსგავსო!

5.

მათე და ეკა

მათე (თავისთვის). ავღებოდი და წავიდოდი, გზას რომ გავიგ-
 ნებდე. სოფელში ბავშვები დამატარებდნენ, აქ ვის სცალია
 ჩემთვის?
 ეკა. ბაბუა მათე!
 მათე. რა იყო, შვილო?
 ეკა. ხომ არ გაგაღვიძეთ?
 მათე. მე რა დამაძინებს, შვილო?
 ეკა. აბა, გესმოდათ ჩვენი ლაპარაკი?
 მათე. განა ისეთს რას ამბობდით, დასამალი რომ იყოს?
 ეკა. ბაბუა მათე, მასწავლებლობა ჯობია, თუ ექიმობა?
 მათე. მასწავლებელი სულსა ჰკურნავს, შვილო, ექიმი კი ხორცს-
 აღამიანს ორივე ჰჭირდება.
 ეკა. გინდა, წყალს მოგიტან?
 მათე. გმადლობთ, შვილო.

6.

ანა და ნოდარი

ანა რვეულს ასწორებს, ნოდარი თოფს წმენდს.
 ანა. რეზო იყო შენთან.
 ნოდარი. რაო?
 ანა. ისე შემოიხედა.
 ნოდარი. რატომ გაგიძვირეთ სტუმრობაო?
 ანა. არ მიკითხავს.

ნოდარი. უნდა გეკითხა.
ანა. ნოდარ, იცი... მე არ მინდა...
ნოდარი. რა არ გინდა?
ანა. რეზო რომ მოდის ჩვენთან.
ნოდარი. რა თქვი?
ანა. დიდი ხანია ვაპირებ და ვერაფრით ვერ გითხარი.
ნოდარი. რეზო ჩემი მეგობარია!
ანა. არ მომწონს, არ მომწონს და, რა ვქნა?
ნოდარი. რა ლაპარაკია ეს? რეზო ძალიან კარგი ბიჭია.
ანა. ვიცი.
ნოდარი. აბა, თუ იცი, გაჩუმიდი!
ანა. ეკა მეცოდება.
ნოდარი. რა სჭირს ეკას შენი შესაცოდი? კარგი, მოვრჩეთ ახლა
ამაზე ლაპარაკს. წვიმამ თუ არ გადაიღო, ნადირობას ჩამიმწა-
რებს.
ანა. შენც ნუ წახვალ.
ნოდარი. კურდღელი რომ მელოდება?
ანა. კელოდება?
ნოდარი. ო, ერთი შალვა აბესაძის ძალი მომცა, მე ვიცოდი! რამ-
დენი არ ვეხვეწე, არ ქნა, ქვა ააგდო და თავი შეუშვია. რად
უნდა? თვითონ სანადიროდ მაინც არ დადის. ძაღლის მაინც
არ რცხენია? რა ძაღლია, ბიჭო, რა ძაღლი!
ანა. არც მე მესმის ნადირობის არაფერი.
ნოდარი. ნადირობა კაცის საქმეა. რა ჯობია, კურდღელს რომ
თოფს უმიზნებ და ისიც რომ გრძნობს, ამ წუთას, ახლა, ამ
სეკუნდში... (თოფს უმიზნებს ანას.)
ანა (სახეზე სელებს იფარებს). აჰ!
ნოდარი (სიცილით). რამ შეგაშინა?
ანა. მერე, მერე?
ნოდარი. რას ვამბობდი? (თოფს ბუდეში დებს, კედელზე კი-
დებს, ტელევიზორთან მიდის.) რა დაემართა ამ უპატრონოს,
ისევ გაფუქდა?
ანა. ისევ...
ნოდარი. გუშინწინ არ იყო ხელოსანი: ხელოსანი კი არა, სად-

ლა ხელოსანი! (ახას მხარზე ხელს ადებს.) შენ რომ შეილი
გყავდეს, ასე კი არ იქნებოდი.
ანა. როგორ? როგორ არ ვიქნებოდი?
ნოდარი. საცოდაობა არ არის, მე შეილი არ მყავდეს, შთაბო-
მავლობა არ დამჩხეს?
ანა. ნოდარ?
ნოდარი. კარგი, კარგი... მე არ მქონია ბედი... მოკლედ, შენ
სკოლას თავი უნდა დაანებო!
ანა. რა თქვი?
ნოდარი. ასე აჯობებს. ნაკლები სალაპარაკო ექნება ხალხს: ქმა-
რი დირექტორი, ცოლი იმავე სკოლაში — მასწავლებელი!
მასწავლებლობა წამების მეტი არაფერია, არ მინდა! რა გა-
მიჭირდა ასეთი, კაცმა რომ თქვას, რა მაკლია? აი, შალვას ძა-
ღლიც რომ მყავდეს, რექსა!...
ანა. კი მაგრამ...
ნოდარი. ხო, სახლსაც უკეთესად მიხედავ. თანაც ახლა სტუმარ-
ი გვეყავს, ხომ იცი სოფლელების ამბავი.
ანა. ბავშვები?
ნოდარი. ნუ გეშინია, მეორე დღესვე დაავიწყდები. რაო, რა
თქვი, ეკა მეცოდებაო? რატომ გეცოდება?
ანა. არავისაც არ დავავიწყდები!
ნოდარი. რასაც გეკითხები, იმაზე მიპასუხე!
ანა. ხო-ო... რა ვიცი... ხშირად არიან ერთად.
ნოდარი. ძალიანაც კარგი!
ანა. გოგოს რეტი კი არ უნდა.
ნოდარი. არ მესმის, რას ამბობ.
ანა. თუ არ გესმის, როგორ გაგაგებინო?
ნოდარი. ეკას უყვარს, არა?
ანა. ხო.
ნოდარი. რეზო კარგი ბიჭია.
ანა. უფროსი რომაა ეკაზე?
ნოდარი. მერე რა? მეც ხომ შენზე უფროსი ვარ! არც ეკაა ბავ-
შვი. ოცდაექვსი წლის ხდება. არა, მე წინააღმდეგი არ ვიქნე-
ბი. თანაც რეზო ჩემი მეგობარია.
ანა. თუ მეგობარია, ამდენ ხანს სად იყო?

ნოღარი. რა პირს ეკას რეზოს დასაწუნი? საღლაა ეგეთი გოგო-
ები? აბა, ერთი მაჩვენე. ახლანდელ მოთხუბნულ გოგოებს არ
სჯობია, ვითომ? დაიწუნებს და წააგებს! მე კი რეზოსთვის კა-
რგი მიწდა. რაც უფრო ხშირად იქნებიან ერთად, მით უკეთე-
სი. ყველაფერი თავისთავად მოხდება. სხვათა შორის, რომ
იცოდე. მცეა მაქვს ამაგი რეზოზე...

ანა. რა ამაგი?

ნოღარი. ასე რომ, არც მე ვარ ვინმეზე ნაკლები!

ანა. რა თქმა უნდა!

ნოღარი. მოკლედ, სკოლას თავი უნდა დაანებო!

ანა. არა!

ნოღარი. ასე აჯობებს!

ანა. არა!

ნოღარი. რატომ უნდა ვათქმევინო ვინმეს...

ანა. არა-მეთქი! არ შემოძლია!

ნოღარი. შეგიძლია, ალბათ, ისე ხომ არ გეტყვოდი!

ანა. ძალიან გთხოვ, ნუ იზამ მაგას, სხვა რა უნდა გავაკეთო?

ნოღარი. ოჯახში საქმის მეტი რა არის? აგერ, ბაბუა მათე...

ანა. გთხოვ...

ნოღარი. რა იქნები შენ ხუთი წლის მერე? ბებრუტუნა ქეთე-
ვანი რომ არის, გეოგრაფიის მასწავლებელი, აი, ისეთი იქ-
ნები, პატივცემული მასწავლებელი, მეტი არაფერი. ცხოვ-
რება კი მიზნის, მიზნის, მაგრად უნდა ჩასჭიდო ხელი, მაგ-
რად!

ანა. როგორ ამბობ მაგას, მასწავლებელი მინც არ იყო. გამიშვი
ხელი, მტკავა.

ნოღარი. უკაცრავად შენთან, მე ღრობით ვარ სკოლაში, ჩემი
საქმე ცაშია გადაწყვეტილი. შენ კი ჩემი ცოლი ხარ!

ანა (ლყვირის). რა გინდა ჩემგან, რა?

ნოღარი. რა გაყვირებს?

ანა. გამიშვი ხელი!

ნოღარი. აკი გაგიშვი?

ანა. ხო, გაძიშვი...

ნოღარი. მოდი ჩემთან.

ანა. არ მომეკარო!

ნოღარი (მწარე სიცილით). ამასაც მოვესწარი! (ცოტა ხნის მე-
რე.) რა გვაქვს ჩვენ საჩხუბარი? უცებ აბილბილდები ხოლმე.
რაც შენთვის კარგია, მეც ის მიწდა. ახლა ოჯახს მოუბრუნ-
დები, ოჯახს დიასახლისი სჭირდება. ნადირსაც თავისი ბუნაგი
აქვს, მე რომ ჩემი ოჯახი მიწდოდეს, გასაკვირია? ქმრის ხათ-
რი უნდა გქონდეს, სხვანაირად არ შეიძლება. მოდი ჩემთან.
(ანა არ იძვრის.) კარგი ახლა, რა გითხარი ისეთი? ნუ იბუ-
ტები, მოდი აქ, მოდი. (ანა ნელ-ნელა უახლოვდება, ნოღარი
მუხლზე დაისვამს.) აბა, მოვიწმინდოთ ცრემლი, როგორ გაბე-
დე ასეთი ლამაზი თვალების შეწუხება? მითხარი, ანა, ხომ ვიყ-
ვარვარ, მითხარი! (ანა თავს უქნევს.) ჩემი კარგი ანა, ლამაზი
ანიკო!

ანა. ნოდარ!

ნოღარი. რა იყო, გენაცვალე?

ანა. რაღაც უნდა გითხრა.

ნოღარი. მერე მითხარი, მერე...

7

მათე და ეკა

მათე. ოჯახის სიმყუდროვეს თავისი სიტბო აქვს, მიეფიცები და
თბები. მთელ ქვეყანას სწვდება ეს სიტბო. ვაი იმას, ვისაც ეს
არ უგრძნია. სიცივეს კაცი მოუკლავსო, უთქვამს ხალხს.
ოჯახის კაცს გულში პაწაწინა მზე აქვს და სხვასაც ათბობს.
მეც კი გავუყუჩდი ამ სიტბოს, ამ ხნის ბერიკაცი. მონატრება
სცოდნია ოჯახის სიმყუდროვეს...

შემოდის ეკა.

ეკა. ა, ბაბუა, წყალი!

მათე. გაიხარე, შვილო.

ეკა. (მათეს). პირველად ხარ, ბაბუ, თბილისში?

მათე. არა, შვილო, მე აქ დავიბადე, ვავიზარდე, სკოლაც აქ და-
ვამთავრე.

ეკა. მერე?

მათე. მერე სოფელში გადავსახლდი.

ეკა. სოფელში რა გინდოდათ, ბაბუ?

მათე. მე მასწავლებელი ვიყავი, შვილო.
ეკა. აქ სკოლა არ იყო?
მათე. აქ მასწავლებელიც ბევრი იყო.
ეკა. ნე კი სოფელში ვერ გავძლებდი...
მათე. ალბათ, შვილო, ალბათ...
ეკა. ბაბუ... (დაინახავს რეზოს.)
მათე. წადი, შვილო, წადი... მე არაფერი მიჭირს. კარგი გული
გქონია, მაღლობელი ვარ შენი.

8

ეკა და რეზო

ეკა. მართლა თეატრში მივდივართ?
რეზო. აი დამამტკიცებელი საბუთი: ორი ბილეთი! ჩაიცვი, ვერ
მოვასწრებთ!
ეკა. მართლა გულით გინდა თეატრში წამიყვანო?
რეზო. შენ ეს არასოდეს გიკითხავს!
ეკა. მაინცდამაინც მე?
რეზო. მაინცდამაინც შენ! გოგო, რომელსაც ჰქვია ეკა და ჰრე-
ლი თვალებით კატას ჰგავს, მაინცდამაინც ის და სხვა არა-
ვინ!
ეკა. და შენ არ ცდები?
რეზო. მოიცა დაფიქრდე... არა!
ეკა. იცი რა, რეზო... ოღონდ არ გაიცინო... მითხარი, არ გავიცო-
ნებ-თქო.
რეზო. გეფიცები!
ეკა. მინდა, რომ ბედნიერი ვიყო, ძალიან მინდა... იცინი?
რეზო. არა!
ეკა. მაგრამ არ ვიცი, რა უნდა გვაკეთო ამისთვის, როგორ მო-
ვიქცე...
რეზო. სულ ეგ არის?
ეკა. ხო.
რეზო. რატომ გეგონა, რომ გავიცინებდი?
ეკა. ვისაც ვუხუბნები, ყველა იცინის. როგორ მოვიქცე-მეთქი?
რეზო. უნდა დაცვა მოძრაობის წესები!

84

ეკა. მე არ გეხუმრები! ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა
აქვს, თითქმის გადამწყვეტი...
რეზო. როგორ უნდა მოიქცე და... იყავი ისეთი, როგორცა ხარ!
ეკა. მეტი არაფერი?
რეზო. არა!
ეკა. რა მარტივი ყოფილა!
რეზო. ჯობია, ყველაფერი ეს თეატრში მოვისმინოთ, იქ ამის
ოსტატები არიან!
ეკა. მე კი არ მინდა მარტივი რომ იყოს!
რეზო. გვა-გვი-ან-დე-ბა:
ეკა. დამაცადე! მთავარია, როგორმე გავაგებინო, რაც მინდა...
აი, მე ანაზე უმცროსი ვარ...
რეზო (მკაცრად). რა შუაშია აქ ანა?
ეკა. ისე ეთქვი... მე კი ვერაფერს ვმალავ...
რეზო. რას უნდა მალავდე?
ეკა. აი, ამ წუთას ბედნიერი ვარ, მაგრამ ერთი წუთის ბედნიერ-
ება ხომ იგივე უბედურებაა? ჯობია, საერთოდ არ იცოდე, თუ
რა არის ბედნიერება იმიტომ, რომ მერე გული დაგწყდება.
როცა არ იცი, კიდევ არა უშავს... მე მაინც ყოველთვის მაღ-
ლობელი დაერჩები შენი, თუმცა... კარგი, არ მინდა ამის
თქმა...
რეზო. ბედნიერების საკითხს მე და შენ ახლა ნამდვილად ვერ
გადავწყვეტთ, ამისთვის ძალიან ცოტა დრო გვაქვს.
ეკა. რა კარგია, ჩემთვის რომ იცლი. ნოღარს ჯერ კიდევ ბავშვი
ვგონივარ. შეიძლება იმიტომ, რომ იმან გამზარდა, ჩემი ძმაც
არის და ნამაც.
რეზო. მე და შენ ყოველთვის მეგობრები ვიყავით. აი, ამოდენა
მასსოგხარ. ერთი დაძინილი და გაწეწილი თოჯინა გყავდა,
მელანო...
ეკა. გახსოვს?
რეზო. ხელები არ ჰქონდა...
ეკა. რატომ ვეძახდი მელანოს?
რეზო. რა ვიცი.
ეკა. საცოდავი!
რეზო. იმასთან ერთად იძინებდი.

85

ეკა. მარტოს მეშინოდა, ალბათ.
რეზო. ისე კაცმა რომ თქვას, კახელა კი იყავი უკვე.
ეკა. ახლა სად არის?
რეზო. მე შეკითხები?
ეკა. (საყვედურით). რატომ გამახსენე?
რეზო. იმიტომ, რომ გვაგვიანდება, გვაგვიანდება!
ეკა. წავიდეთ?
რეზო. წავიდეთ კი არა, უკვე უნდა გავფრინდეთ!
ეკა. შინ რომ არავინ არის? ბაბუა მათეს მარტო ხომ არ დავტოვებ? რა კარგი რძალი მყავს არა?
რეზო. ჩქარა!
ეკა. შენ მას აღრეც იცნობდი არა?
რეზო. ჩაუცივი-მეთქი!
ეკა. ახლავე! მიხარია ნოდარი, რომ ბედნიერია, მაგრამ იმდენად ჩერჩეთა ვარ, იმაზედაც ვფიქრობ, ანა თუ არის ბედნიერი-მეთქი. თუმცა, რატომაც არ უნდა იყოს? ნოდარს უყვარს. მთავარია, ვინმეს უყვარდე... იცი რა, რეზო, მე არ წამოვალ თეატრში!
რეზო. როგორ თუ არ წამოხვალ?
ეკა. არ წამოვალ...
რეზო. რატომ?
ეკა. ვერ ვეტყვი.
რეზო. რატომ ვერ ვეტყვი?
ეკა. მე თვითონაც არ ვიცი და იმიტომ.
რეზო. ეკა?
ეკა. ასე აჯობებს!
რეზო. გამაფიქრებს ეს გოგო!
ეკა. მე შენ დალიან შეგეჩვიე, რეზო.
რეზო. მერე რა?
ეკა. ჰოდა, ასე აჯობებს.
რეზო. შენ ყოველთვის ასეთი უცნაური იყავი.
ეკა. ძაბატე.
რეზო. კარგი, ბატონო, ნუ წავალთ თეატრში, როგორც გენებოს, დიდი ამბავი!
ეკა. შენ წადი, რეზო. მარტო წადი, ოღონდ ახლა წადი!

რეზო. რა დაგემართა, გამაგებინე!
ეკა. არაფერი.
რეზო. რომ იცოდე, რა წვალებით ვიშოვე ბილეთი.
ეკა. დიდი მადლობა.
რეზო. რას იზამ, უნდა დავხიო.
ეკა. არ დახიო. შენ წადი. საქმე მაქვს, ახლა გამახსენდა...
რეზო. ახლა, ამ წუთას?
ეკა. ჰო.
რეზო. მაინც რა საქმე გაქვს ასეთი გაღაუღებელი?
ეკა. ალბათ, მაქვს. ისე ხომ არ გეტყვი. აი... ჰო, მელანო უნდა ვიპოვო.
რეზო. რამ გამახსენა ეს მელანო, ჩემდა ჰირად!
ეკა. წადი, რეზო... ოღონდ... არ გეწყინოს.
რეზო. თუ ასეა, თუ ასეთი სერიოზული საქმე გაქვს, წავალ, რას ვიზამ... (მიდის.)
ეკა. (ცოტა ხნის მერე): მოვდივარ! მოვდივარ! დამიცადე!

:0

ეკა და ანა

ანა. მერე?
ეკა. არაფერი.
ანა. როგორ თუ არაფერი?
ეკა. ჰო, გამოვეკიდე და თეატრში წავედი. ისე, როგორც ვიყავი, ფლოსტებით.
ანა. როგორ შეიძლება?
ეკა. (სიცილით). ყველა მე მიყურებდა!
ანა. რას იტყოდნენ?
ეკა. (სიცილით). რეზო ყაყაოსავით იყო გაწითლებული.
ანა. სირცივილია.
ეკა. რომ შემძლებოდა და არ წავსულიყავი, კარგი გოგო ვიქნებოდი.
ანა. რა თქმა უნდა!

ეკა. მაგრამ რატომ უნდა გავჯიუტებულებიყავი? რეზოს ნამდვილად ვუყვარვარ. განა შეიძლება ამაში ქალი შეცდეს?

ანა. აი, მაგალითად, შენ ცდები!

ეკა. ანა?

ანა. ყველაფერი თვითონ მოიგონე.

ეკა. ტყუი!

ანა. გითხრა რამე თუ?

ეკა. ერთი სიტყვა მაინც რომ მითხრას! ერთი სიტყვა! იმ სიტყვას საქანელასავით ჩამოვეკიდებოდი და ვიჭანავებდი, ვიჭანავებდი, ვიფრენდი!

ანა. აი, ხომ ხედავ!

ეკა. რას? რას ვხედავ?

ანა. არაფერი უთქვამს. შენთვის ვლაპარაკობ, სულელი!

ეკა. იცოდნე, როცა ასე ლაპარაკობ, ვერ გიტან!

ანა. ეგ შენა? ნება!

ეკა. მე არავის დაფუთობ რეზოს!

ანა. ვინ გეცილება?

ეკა. აი, როგორი ყოფილხარ თურმე.

ანა. მაინც როგორი? ათასჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, შენ თვითონ გამოიგონე ეს ამბავი-მეთქი. ის შენ არ შეგირთავს, ბატისტვინავ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ის შენ არ შეგიყვარებს, სად შენ და სად ის! რატომ იტანჯავ თავს და სხვასაც ტანჯავ, შენ ამ ქვეყნის არაფერი გაგეგება.

ეკა. ანა, როგორ არ გრცხვენია?

ანა. მე არ მინდოდა ამის თქმა. არა, ეკა, არ მინდოდა! გამოეშ-ტყრდი, მოგატყუე. შენ ყველა შეგიყვარებს, შენ ყველაზე კარგი ხარ, ყველაზე!

ეკა. მართლაც, სად მე და სად ის!

ანა. არა! არა!

ეკა. რა ლაგიშავე?

ანა. მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება... ეკა, მაპატიე! შენ ვის რა უნდა დაუშავო? ყველაფერი მოგატყუე!

ეკა. მომატყუე?

ანა. ჭკუა ანერია...

ეკა. ჩემი ზრალია, მე გაგაბრაზე. მართლა ბატი ვარ.

ანა. შენ ჩემი დაიკო ხარ!

ეკა. ნუთუ, მართლა შეიძლება, რომ...

ანა. შენ ყველა შეგიყვარებს!

ეკა. ყველა?

ანა. ხო... რეზოც. მაგრამ მე მინდა, რომ მაინც დაფიქრდე. ჯერ ერთი, შენზე გაცილებით უფროსია, მეორეც, თუ კი რამეს აპირებს, რატომ არ ამბობს, რას ელოდება, ოცი წლის ბიჭი ხომ არ არის? მე ასეთი ხალხი არ მიყვარს...

ეკა. იცი, ანა, დიდი ხანია მინდოდა შენთვის მეთქვა... ოღონდ არ გეწყინოს...

ანა. რა?

ეკა. შენც რეზოს ხშირად ელაპარაკები ხოლმე.

ანა. მერე რა?

ეკა. არაფერი, მეც ისე გითხარი.

ანა. ეკა, ეკა, აბა, სტუმარს ზურგს ხომ არ შეეპყვევ?

ეკა. მე კი ასე არ შემოძლია, აღამიანი თუ არ მიყვარს, არც დაველაპარაკები... (უცებ ანას ხელში სიგარეტს დაინახავს.) რა არის ეგ. ანა, ეწვევი?

ანა. (სიგარეტს უკიდებს). პო.

ეკა. ნოდარმა იცის?

ანა. ნოდართან არ წამოგცდეს!

10

ანა და ნოდარი

ნოდარს დიდი ყუთი შემოაქვს.

ანა. ეგ რა არის, რა მოიტანე?

ნოდარი. ნახავ!

ანა. ტელევიზორია?

ნოდარი. მერე როგორი! (ხსნის ყუთს.)

ანა. ტელევიზორი ხომ გვქონდა?

ნოდარი. არ მახსოვს, რამე მეყიდოს და შენ არ დაგეწუნებინოს. ნახე რამოდენა ეკრანი აქვს!

ანა. როგორ გიხარია!

ნოღარი. შენ არ გიხარია?

ანა. როგორ არა!

ნოღარი. შენთვის ვიყიდე, სულ შინ ზის, გულს გადააყოლებს-
მეთქი.

ანა. გმადლობთ.

ნოღარი. რა უცხოსავით მიხდი მადლობას? აი, აქ დავდგათ. ეს
ტახტი ცოტა ჩავაჩოჩოთ. აი, ასე. აქ ჩავრთავთ. ნახე, რა
კონსტად ჩაირთო! დაიცა, შენს მტერს, ესეც თუ გაფუჭებუ-
ლია!

ანა. ჯერ აღრეა!

ნოღარი. რომელი საათია?

ანა. ჯერ ექვსი არ არის.

ნოღარი. იჯლები შენთვის და უყურებ. ერთი არ მოგეწონება,
მეორე პროგრამაზე გადართავ, რა გინდა მეტი?

ანა. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მათე ექიმთან არ წაიყვანოთ?

ნოღარი. შენ რომ წაიყვანო, ვითომ რა გიჭირს?

ანა. შენ რომ წაიყვან, ის სულ სხვაა!

ნოღარი. რა იციან ეს?... ნათესავი მაინც იყოს, მომაყენეს კარზე,
ახლა გვერცხი უნდა ვუგორო.

ანა. ხომ გასწავლიდა?

ნოღარი. პირველ კლასში კი. მართალი ხარ, უნდა მოვიცალო და
წავეყვანო. აბა, რა ვქნა.

ანა. დაისვენე ახლა ცოტა...

ნოღარი. ამისთანას ათს ამოვიტან კიბეზე, იყოს თორემ.

ანა. ათი ტელევიზორი რად გინდა?

ნოღარი. იცის ბიჭმა!

ანა. სადილიც მზად არის!

ნოღარი. ეკა მოვიდა?

ანა. ეკა დღეს აღრე მოვიდა.

ნოღარი. რა დამართა თუ იცი მაგას?

ანა. რა უნდა დამართოდა?

ნოღარი. შენ ხომ არ აწყენინე რამე?

ანა. რას ამბობ?

ნოღარი. რძალ-მულის ამბავი ხომ იცი.

ანა. ჩვენ მაგისთანა რძალ-მულობა არა გვაქვს.

90

ნოღარი. შენ უფროსი ხარ, მოუთმინე.

ანა. ეკა ძალიან კარგი გოგოა.

ნოღარი. რეზო ხომ არ ყოფილა?

ანა. არა.

ნოღარი. უყვარს გოგოს, მგონი.

ანა. ჰო.

ნოღარი. მითხარი, ხომ უკეთესია შინ ყოფნა?

ანა. ჰო.

ნოღარი. თანდათან უფრო გაგიტყებია.

ანა. ჰო.

ნოღარი. სკოლიდან ამ დროს ბრუნდებოდი არა?

ანა. ჰო.

ნოღარი. ახლა კი სადილიც უკვე მზადა გაქვს, სახლიც დალაგე-
ბულია, ასე არ ჯობია?

ანა. ჰო.

ნოღარი. რა „ჰო“, „ჰო“, სხვა სიტყვა არ იცი?

ანა. სკოლაში რა ამბავია?

ნოღარი. აღარ არიან შენი ჯავრით. აღარც ახსოვხარ.

ანა. ალბათ.

ნოღარი. ალბათ, კი არა, ასეა. შენც შეეჩვევი, ყველა ეჩვევა.

ანა. რა?

ნოღარი. ყველა ეჩვევა-მეთქი.

ანა. ჰო, ყველა ეჩვევა (ფლოსტები მოაქვს.)

ნოღარი ფეხსაცმელს იცვლის. ისმის მუსიკის ხმა.

ნოღარი (ყვირის). დაიწყე!

ანას ფეხსაცმელი გააქვს, ცოტა ხნის მერე სამზარეულოდან იახის.

ანა. მოდი, ვისადილოთ!

დიქტორის ხმა. საღამო მშვიდობისა, ამხანაგო ტელემაყუ-
რებლებო!

ნოღარი. ანა! ანა! ტელემაყურებლებო! შენ გეძახის, მოდი,
ანა, მოდი შენ გეძახის! (ოთახში შემოსულ ანას ხელში აი-
ტაცებს, ტრიალ-ტრიალით დაჰყავს.) ამხანაგო ტელემაყურე-
ბელო, ლამაზო ტელემაყურებელო, დედოფალო ტელემაყუ-
რებელო!

91

ეკა და მათე

ეკა. ხელს ჩაკვიდებენ და დაჰყავხართ, ბაბუ?

მათე. ჰო, შვილო.

ეკა. ვინ არიან ისინი შენი?

მათე. არავენ. იმათ მშობლებს ვასწავლიდი, იმათ ბაბუებს...

ეკა. მართლა ამ ხნისა ხარ, ბაბუ?

მათე. მართლა ამ ხნისა ვარ. ახლა კი დავბრმავდი...

ეკა. ნოდარმა თქვა ექიმთან წავიყვანო.

მათე. მერე ისინი გაიზრდებიან, შვილები ეყოლებათ, ახლა მათი შვილები ნატარებენ.

ეკა. მე ვერ წარმომიდგენია სოფელში ცხოვრება...

მათე. ჩვენ ყველანი სოფლიდან ვართ, შვილო. წინათ ქვეყანას სოფელი ერქვა...

ეკა. ასე მგონია, სოფელში სულ წვიმს და ტალახია...

მათე. ზოგჯერ ფეხები ისე მტკივა, რომ საწოლიდან ვერ ვადმოვდივარ, მაინც თავს ძალას ვატან და ვდგები. თუ არ დამინახა, ხალხს ჰგონია რაღაცა მოხდა. კრებაზეც კი მიყვავართ ამ ხნის კაცი. მე შემომყურებენ, რას ვეტყვი. აი, ამიტომაც არ მინდა სიკვდილი, შვილო. თანაც სული ტკბილია, ო, რა ტკბილი ყოფილა ეს დასაქცევი.

ეკა. ნუ გეშინია, ბაბუა მათე, ნოდარი ექიმთან წავიყვანს...

მათე. ახლა იქ მასწავლებელი არა ჰყავთ. სანამ თვალში ვიხედებოდი, ვასწავლიდი. ჩემს მერე ერთი ჩამოვიდა, მაგრამ უკან გაიქცა მაშინვე...

ეკა. იქ მეც ვერ გავძლებდი.

მათე. ხალხთან კი არ უნდა გაძლო, უნდა იცხოვრო.

ეკა. თქვენთვის ეგ ადვილია, ბაბუა მათე.

მათე. მეც ვიყავი, შვილო, ახალგაზრდა. კაცი სადაც საქმეს აკეთებს, მისი სოფელიც იქ არის.

ეკა. მე დლით მივდივარ და საღამოს ვბრუნდები, ეგ არის და ეგ არავის ეჭირდება...

ნოდარი. ზღაპარს უყვები, მათე?

ეკა. არა, გლახარაკობ!

ნოდარი. მათეს კარგი ზღაპრები ეცოდინება. ერთი ვერ მოვიცალე, ექიმთან ვერ წავიყვანე. ისე გავიკითხე, კატარაქტა ექნებო, მოვარჩენთო. მაგისტანებს არჩენენ!

მათე. ღმერთი გიშველის!

ნოდარი. მგონია, პირიქითაა, ღმერთს ჩემს საშველად გაუხდა საქმე, არა?

მათე. ისიც დაბერდა, ჩემო ნოდარ.

ნოდარი. კარგი ერთი.

ეკა მათეს ხელს ჩაკვიდებს და მაგისტანს მიჰყავს, სკამზე დასვა.

ეკა, ანა, მათე, ნოდარი

სადილი.

ნოდარი. სადელი მართლა ეკამ გააკეთა?

ანა. რატომ არა გჯერა?

ნოდარი. ყოჩაღ, ეკა! (ანას.) მაშ, ტელევიზორი მოგეწონა? (ეკას.) შენ რა გატრუნული ზიხარ?

ეკა. ვსადილობ.

ნოდარი. აჰ, ვსადილობთ! დამაფიწყდა, სადილის დროს რომ ლაპარაკი არ შეიძლება. უკაცრავად, უკაცრავად!

ანა. თეფში გამოიცვალე, გვერდით ვიდევს.

ნოდარი. იყოს, ბედი გამომეცვლება.

ანა (ლიმილით). არ გინდა, ბედი რომ გამოგეცვლოს?

ნოდარი. რად მინდა? მშვენივრად ვგრძნობ თავს. აი, აბესაძის ძალიც რომ მომცა! არ იქნა, არ ინამუსა. რა ძალია, რა ძალია, რომ იცოდე, მათე!

ანა. ეკა, სორცი გადაილე!

ნოდარი. დე რომ მიყვარს, ისე შეგიწავს!

ანა. ეკა, ლიმონათი დასისი!

ნოდარი. რას გვძალე ამ ლიმონათს, ღვინო დაგვალევიწე!

ანა. ღვინო ავერ არ დგას?

ნოდარი (ეკას). ქალბატონო, რატომ არაფერს მიირთმევთ, თუ სადილის დროს ჭამაც არ შეიძლება?

ეკა. მე ჩქარა ჭამა არ შემიძლია.
ნოდარი. მოდი, ამ ჭიქით მათეს გაუმარჯოს! იცოცხლე, მათე!
მათე. გმადლობთ.
ეკა. კარგად იყავით, მათე ბაბუა.
მათე. გმადლობთ, შვილო.
ნოდარი. შენთან კი ვარ შერცხვენილი, ექიმთან ვერ წავიყვანე-
მალე გამოვასწორებ მალე.
მათე. არა უშავს... ეგ ადვილი საქმეა.
ნოდარი. კარგი კაცი ხარ. რამდენი კაცი გავიზრდია, გისწავლე-
ბია, გზაზე დაგიყენებია. მოიმკე კიდეც შენი ნაღვაწი, სოფელს
უყვარხარ, ხელით გატარებს, პატრის გცემს, სოფლის სინდისს
გეძახის, მეტი რა გინდა! შენისთანა ხალხის მხრებზე დგას ეს
ქვეყანა, მათე, (სიცილით.) ალბათ, მძიმეა, არა?
მათე. მსუბუქია, მსუბუქი, ბუმბულივითაა ეს დალოცვილი.
ნოდარი. მსუბუქია?
მათე. ხელში აყვანილი შვილივით მსუბუქია. რაც გიყვარს, ის მძი-
მი როგორ იქნება?
ნოდარი. ისე შეგატოვებს ხომ ხელში?
მათე. რატომ? განა...
ნოდარი. არა, მათე, არ მოგატყუონ, ზოგს ყასიდად უკილია ხე-
ლი, ვითომ ისიც საქმეშია.
მათე. ეგ როგორ შეიძლება?
ნოდარი. ეჰ, ჩემო მათე, შენს მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. მე
რომ მკითხო, ჯობია ყველამ თავის თავს მიხედოს.
მათე. კაცი კაცითაა, ისე ეს ქვეყანა აქამდე დაიქცეოდა.
ნოდარი. ეგ ლამაზი სიტყვები ეკასთვის შეინახე, მათე. ამას
წინათ ტრამვაის გაჩერებაზე ბიჭი მოჰკლეს ხალხის თვალწინ
და არავინ აღმოჩნდა, რომ თითი მაინც გაეჩქრა მისაშველებ-
ლად. აი, ჩემო მათე, შენ ზღაპრებით ცხოვრობ, მე კი ფაქტს
გეუბნები.
ეკა. ნოდარ, შენ რომ იქ მდგარიყავი, მიეშველებოდით?
ნოდარი. შენ არ გელაპარაკებია, ჭამე!
ეკა. მაინც, მაინც?
ნოდარი. არ გაგიგონია, არამკითხე მოამბეო მიტყუებ და მიაგ-
დეო? მოდი, ახლა დიასახლისის სადღეგრძელო დაგლიოთ.

მათე. ანა, შვილო, გაგიმარჯოს!
ანა. გმადლობთ.
ნოდარი. ეკა, დალიე, ასე არა, უთხარი რამე.
ეკა (ანას). კარგად იყავი.
ანა. გმადლობთ, ჩემო ეკა.
ნოდარი. თქვენ რა, ნაჩხუბრები ხომ არა ხართ?
ანა. რაზე გვატყობ?
ნოდარი. რა ვიცი (აჭაერებს). „კარგად იყავი“, „გმადლობთ“.
ანა. შენც არაფერი მოთხარი, ისე დალიე.
ნოდარი. კარგად იცი, რასაც გისურვებ.
ანა. მაინც გამეხარდებოდა.
ეკა. ნოდარ!
ნოდარი (ანას). მთავარია, ქმარი გყავდეს კარგად!
ანა. ნოდარ, ჩვენი მეზობლები რომ არიან, ბერიძეები, ხომ იცი?
ნოდარი. როგორ არა, ცოლმა რომ ოპერაცია გაიკეთა შარშან?
ანა. იმათ მთხოვეს, ბავშვი ამეცადინეო. უშენოდ ვერ ვუთხარი
პასუხი. წერა უპირს ცოტა, მეც არაფერი მაქვს საქმე. შეიძ-
ლება?
ნოდარი. საქმე როგორ არა გაქვს?
ანა. კვირამი ორჯერ მოვა, თითო საათით.
ნოდარი. როგორც გენებოს. ისე ხალხმა არ თქვას, ფულს არ-
თმევენო.
ანა. რატომ უნდა თქვას?
ნოდარი. რომ არა თქვას, ის გაგიკვირდეს. ახლა უფასოდ ვინ ამ-
ზადებს მოწაფეს? მე კი სახელს ვუფრთხილდები. ისე, რო-
გორც გენებოს. პატარა არა ხარ, ყველაფერს მე ხომ არ
ვასწავლი? ქალმა თავისი საქმე უნდა იცოდეს. ასე არაა,
მათე?
ანა. კარგი ბატონო, არ ავიყვან.
ნოდარი. ეგ გითხარი მე?
ეკა. ნოდარ!
ნოდარი. მაილობა ღმერთს, დაგველაპარაკა, გვიკადა! ეს შენ
გავგიმარჯოს, ჩემო ეკა, ალბათ მალე გათხოვდები და...
ეკა. ვინმეს ხომ უნდა უხაროდეს ჩემი გათხოვება?

ნოდარი. მე ავერ არა ვარ? ჩემზე უფრო ვის გაუხარდება? ჯერ შენი ბედნიერება მაჩვენე და სიხარული მერე ნახე!

ეკა. მე მინდა ყველას უხაროდეს!

ნოდარი. ეგ კი ნამეტანი მოვინდომებია. ახლა ილუმინაციას გამართავენ, ნოდარი დას ათხოვებსო.

ეკა (დგება). გმადლობთ!

ანა. რა იყო, ასე უცებ ისადილე?

ეკა. თავი მტკავა...

გაღის.

ნოდარი. რაო რეზომ, არაფერს ამბობს?

ანა. არ ვიცი.

ნოდარი. ავი კარგი რძალ-მულობა გვაქვსო? ეჰ, ეკა მე არა მაგვს თორემ!

ანა. ნოდარ...

ნოდარი. რა ნოდარ, ნოდარ, რა გინდათ?

ანა. რა გაყვირებს?

ნოდარი. გახედე ერთი იმ გოგოს.

ანა. ნოდარ...

ნოდარი. გახედე-მეთქი!

ანა გაღის.

მათე. აი, თურმე რა ყოფილა! მართლა დაბერებულხარ, მათე. ჰაერში სიყვარულის სუნი ტრიალებს, შენ კი ვერაფერს ხედე. გაზაფხულს კვირტი გამოუტანია, საცაა ქვეყანა აყვავდება!

ნოდარი. რას ამბობ, მათე?

მათე. საცაა ქვეყანა აყვავდება!

13

ანა და რეზო

ანა. შენ ჩემზე უკეთესად იცი, რომ ადამიანს ძნელად ავიწყდება რამე, მაგრამ თუ კი დაივიწყა...

96

რეზო. არა, ანა! ბევრი რამ, რაც ჩვენ დავიწყებული გვგონია, თურმე ჩვენი სულის რომელიღაც საიდუმლო კუნჭულში შემაღული მოთმინებით უცდის თავის დროს...

ანა. შენ არავის დაივიწყებინარ. კარგად იცი, მე და ნოდარი პატივს რომ გცემთ.

რეზო. როგორი კეთილი ხარ!

ანა. რატომ?

რეზო. მაგას მირჩენია, გძულდე, გეზიზღებოდე!

ანა. გირჩენია?

რეზო. ჰო, მირჩენია!

ანა. შენ. ნებაა!

რეზო. ეტყობა, არაფერი გესმის!

ანა. არც მინდა.

რეზო. მე კი მეგონა, სხვებს არ ჰგავდი!

ანა. დღეს რაღაც უცნაურად ლაპარაკობ.

რეზო. ადრე შენც გაცილებით უკეთესი იყავი!

ანა. შეიძლება... ბოლოს და ბოლოს, სასაცილოა ეს ყველაფერი.

რეზო. რა არის სასაცილო? მე ხომ არაფერი მიტყვამს...

ანა. არაფერი, არაფერი, ნუ გეშინია. მე კი არ მინდა, რომ შენ სასაცილო იყო.

რეზო. უღრმესი მადლობა!

ანა. არაფრის.

რეზო. ვიცი, სამაგიეროს მიხდი.

ანა. საკვირველია... რისთვის?

რეზო. არ არის საჭირო. ორივემ კარგად ვიცით.

ანა. აი, ხომ ხედავ, ვერც მაგას ამბობ. ეს იცოდე — ყველაფერი სამუდამოდ გათავდა და, სხვათაშორის, არც არაფერი ყოფილა. გასაგებია?

რეზო. გასაგებია.

ანა. ამ ოჯახში როცა შემოდიოდი, ეგ აზრი თავიდან უნდა ამოგეგლო და, საერთოდ, ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავდეს!

რეზო. გათავდეს?

ანა. (თავის ქსევით). რეზო, რეზო...

რეზო. როგორ შეიცვალე, ანა, როგორ შეიცვალე!

97

7. თ. კილაძე

ანა. შენ კი ნოდარს როგორ უყვარხარ!
რეზო. მე სხვანაირად ვფიქრობ ნოდარზე. ხომ მაქვს ამის უფ-
ლება?

ანა. რასაკვირველია! მაგრამ, მე მგონია, უხერხულია, რომ მა-
ღვ-

რეზო. მართალი ხარ...

ანა. ამავე დროს ეს უსინდისობაც არის, არა?

რეზო (უყვირის). ყველაფერს ნუ მათქმევინებ!

ანა (მშვიდად). ჩემო რეზო, შენ არავიზე არაფერი გაქვს სათქ-
მელი. ვობს, გულახდილი ვიყო...

რეზო. როგორ დაემსგავსე ნოდარს!

ანა. მე ამაში ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ. ცუდი იცი რა არის?
გოტრა? (პალზა.) ცუდი ის არის, შენ რომ ეკას ატყუებ!

რეზო. ეკა რა შუაშია?

ანა. მე ვიცი, შენ აქ რატომაც დადიხარ... ჩემი გულისთვის, არა?

რეზო. ვინ გითხრა?

ანა. ნუ გეშინია, არავინ გვისმენს. (თითქოს იმედით.) ხომ მართა-
ლი ვარ?

რეზო. არა!

ანა. რეზო?

რეზო. მე ეკას არ ვატყუებ!

ანა. ეკას კი სჯერა, იმედი აქვს. გესმის: იმედი!

რეზო. როგორ თავისუფლად ლაპარაკობ, ანა?

ანა. ახლა ეკას აღარ გაგამწარებინებ!

რეზო. რატომ უნდა გასჩენოდა იმედი? წარმოუდგენელია...
რისი იმედი გაუჩნდა ეკას?

ანა. წარმოუდგენელია!

რეზო. რადგან შენ ასე გინდა, ვეტყვი: ორივენი ვიხრჩობით და
ხელს არ ვუწვდით ერთმანეთს!

ანა. დიდი ხანია თეატრში აღარ ვყოფილვარ.

რეზო. რა შუაშია თეატრი?

ანა. ლამაზად ლაპარაკობ.

რეზო. დამცინი კიდევ.

ანა. ვინ ორივენი? მე და შენ?

რეზო. ჰო, მე და შენ!

ანა. ოი, როგორ ცდები, რეზო, ისევ ცდები. გამოფხიზლი, გულს
ნუ აპყვები. ეკა ძალიან კარგი გოგოა... უყვარხარ კიდევ!

რეზო. ანა?

ანა. ჰო.

რეზო. შეუძლებელია! არა... მე არ მინდოდა... ეს ჩემი ბრალი
არ არის!

ანა. ნუთუ შენ ვერ გრძნობდი?

რეზო. არა-მეთქი, არა!

ანა. თუმცა... თუმცა, შენ ამას ვერ იგრძნობდი. იქნებ ეს შენთ-
ვის ყველაზე კარგი გზა იყოს...

რეზო. გაჩუმდი! ეს ყველაფერი ტყუილია, ტყუილი! მე არაფე-
რი ვიცი!

ანა. ეკა უნდა შეითოთ. დამიჯერე, მე შენთვის კარგი მინდა!

ეკა და ანა

ეკა. როგორ დავიჯერო, როგორ დავიჯერო, რომ ყველაფერი მეჩ-
ვენება! არა, შეიძლება ბევრი რამ მართლაც, მოგეჩვენოს,
ბევრიც შენ თვითონ მოიგონო, მაგრამ... არ შეიძლება ასე
დაგელაპარაკოს, ასე შეგბედოს და... არ უყვარდე!

ანა. ნუ იტანჯები, ეკა, შეიძლება მართლაც, მოგეჩვენოს.

ეკა. განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

ანა. გეყოფა-მეთქი.

ეკა. არა, ეს ტანჯვა კი არა, ბედნიერებაა!

ანა. სულელო, რა გგონია შენ ბედნიერება? ან ვინ მიუშვებს
შენისთანას ბედნიერებამდე...

ეკა. მე კი მივალ, მივალ, მაინც მივალ!

ანა. ხო, სულ შენს სურვილზეა.

ეკა. რა კარგი იქნებოდა, ტყუილი რომ არ ყოფილიყო ამ ქვეყა-
ნაზე!

ანა. არა, არ ვატყუებ, ეკა, მართლა ასეა.

ეკა. არა, არ შეიძლება ასე რომ იყოს!

ანა. სიმართლეს რომ გეუბნები, იმიტომ გეჩვენება ასე მწარედ,
თორემ ტყუილი ფორთოხალივით ტკბილია.

ეკა. როგორ შეიცვალე, ანა!
 ანა. რას ძაბობთ ამითანას, ყველა რომ მეუბნებით? კი არ შე-
 ვიცვალე, შენზე მეტი ვნახე და ვისწავლე.
 ეკა. აი, შენ ხომ ბედნიერი ხარ, რატომ ლაპარაკობ ასე მწარედ?
 ანა. იცი რას გეტყვი, ეკა, დაანებე ამ ბედნიერებას თავი. ბედნიერ-
 გება, ბედნიერება, ბედნიერება! სულ ამის ძახილი არ შეიძ-
 ლება. გეყოფა, ბავშვი აღარა ხარ.
 ეკა. ბედნიერება, თავგანწირვა, ქვეშაირება, სასოწარკვეთა, თა-
 ვისუფლება! ვანა მუსიკასავეთ არ ჟღერს?
 ანა. როგორი სულელი ხარ, როგორი სულელი! რა გეშველება!
 ეკა. კარგი, აღარ ვიტყვი, ოღონდ ის მითხარი, რა უნდოდა გუშინ
 რეზოს, ჩემზე ხომ არ უთქვამს რამე?
 ანა. არა, შენზე ხმა არ ამოგვიღია.
 ეკა. მაშ, რასე ლაპარაკობდით?
 ანა. არ ვიცი... ცოტა სალაპარაკო?
 ეკა. დამიმაღეთ, დამიმაღეთ!
 ანა. აბა, რა გინდა, მოგატყუო?
 ეკა. თუ კი ის მომატყუე, არ უყვარხარო?
 ანა. ჰო... ეგ მოგატყუე.
 ეკა. რამ გათქმევინა, ანა, რამ გათქმევინა!
 ანა. რა?
 ეკა. (ღიმილით). ფორთოხალი, ფორთოხალი შემაძულე!

ეკა და მათე

ეკა. მათე ბაბუა, თბილი პერანგი უნდა მოგიქსოვო. დღეს მას-
 წველეს სამსახურში ქსოვა. აი, ჩხირებიც ვიყიდე.
 მათე. შენთვის მოიქსოვე, შვილო. იცი რა სიცივეები იცის ჩვენში?
 ეკა. მე კი ისეთი მცივანა ვარ.
 მათე. მეც მაგას გეუბნები, შვილო, შენ უფრო დაგჭირდება, მე ყო-
 ნდა რაღას დამაკლებს.
 ეკა. სად მიგყვარ, მათე ბაბუა?
 მათე. ჩვენთან, სოფელში...

ეკა. სოფელში? სოფელში რა მინდა?
 მათე. შენ არა თქვი, სოფელში სულ წვიმა და ტალახიაო?
 ეკა. მით უმეტეს! რა გამაძლებინებს!
 მათე. ამიტომ უნდა წამოხვიდე, შვილო, სულ წვიმა და ტალახი
 რომ არ იყოს სოფელში.
 ეკა. არც შენ გეყვარვარ, მათე ბაბუა, ასე რომ გამიმეტე? ანდა
 ჩემგან რა მასწავლებელი გამოვა?
 მათე. რომ მიყვარხარ, იმიტომ გეუბნები. სხვა! არც ვეტყვი და
 არც წაყვავან.
 ეკა. არა, მათე ბაბუა, არა!

ნოდარი და ანა

ნოდარი თოვს წმენდს, ანა აუთოებს.

ნოდარი. არ გესმის, რას გეუბნები?

ანა. როგორ არა...

ნოდარი. ხმას რატომ არ იღებ? გააჭირა ამ წვიმამ საქმე!

პაუზა.

ანა. წვიმა, წვიმამ, წვიმას, წვიმის, წვიმით, წვიმად, წვიმაე...

ნოდარი. ვის ელაპარაკები?

ანა. მეშინია.

ნოდარი. რისი?

ანა. არ ვიცი.

ნოდარი. მაგას ჯობია ის მითხრა, შალვას რა ვუყო, რა მოვუხერ-
 ხხო.

ანა. რა უნდა უყო?

ნოდარი. კარგი ძალი რომ ყავს, იმიტომ ყველაფერს ხომ ვერ
 ვაბატიებ?

ანა. შალვა კარგი მასწავლებელია.

ნოდარი. ჩემთვის ეს სკოლა რომ ტრამპლინია, არ იცი?

ანა. შალვა ბევრებს უყვართ.

ნოდარი. უყვართ კი... მაგის გაკვეთილზე რომ შეიხედო, ბაზარი ვეგონება.

ანა. დილით როდის გაგაღვიძო?

ნოდარი. რამდენჯერ გავაფრთხილე...

ანა. რომელ საათზე გაგაღვიძო-მეთქი...

ნოდარი. არ მინდა შენი გაღვიძება, დამანებე თავი! (თოფს ბუდეში დებს, კედელზე ჰკიდებს.) დავწვეთ ახლა, მეძინება.

ანა. ნოდარ, გესმის, ნოდარ!

ნოდარი. რა იყო?

ანა. მოდი, სადმე წავიდეთ.

ნოდარი. მაინც საით მიბრძანებ?

ანა. სულერთია... ოღონდ... ოღონდ აქაურობას მოვშორდეთ, აღარ შემიძლია, თუნდაც სადმე სოფელში წავიდეთ, შორს... სულ, სულ წავიდეთ!

ნოდარი. მაშ, სულ წავიდეთ არა? ძალიან კარგი... პატარა, მიყრუებულ სოფელში ხომ? ქალო, ხალხი თბილისში ჩამოსვლაზე თავს იკლავს, მე ავღვე და სოფელში გადავბარგდე?

ანა. ნოდარ, გთხოვ, გეხვეწები. წავიდეთ სადმე, სულ წავიდეთ. შენ ყველგან იმუშავებ, ხალხი პატივს გცემს, ღირსიცა ხარ. ხომ ხარ, მითხარი ხომ ხარ?

ნოდარი. რა, გამაგებინე რა ვარ, რა?

ანა. ხომ ხარ ღირსი ამ პატივისცემის?

ნოდარი. ხუმრობ თუ მართლა მეუბნები?

ანა. ათხარი, ხომ ხარ ღირსი?

ნოდარი. ისე პატივს ვინ გცემს?

ანა. ვერ წარმოიდგენ, რა მადლობელი ვარ შენი მარტო ამ ერთ სიტყვასთვის! წავიდეთ რა, ნოდარ, ყველგან ხალხია, სამუშაო ყველგანაა, მეც ხომ ადამიანი ვარ, ბოლოს და ბოლოს!

ნოდარი. ოჰო?

ანა. სანამ... სანამ რაზე მომხდარა...

ნოდარი. მაინც რა?

ანა. არ ვიცი.

ნოდარი. არ იცი და გაჩუქდი!

პაუზა.

ანა. აი, მე და შენ რატომა ვართ ერთად?

ნოდარი. სერიოზულად მეკითხები, თუ ესეც სოფელში წასვლასავითაა?

ანა. შენ ხომ ჩემი გულისათვის ცხოვრებას იმწარებ?

ნოდარი. ვინ მოგახსენა?

ანა. შენ შეილი გინდა, მე კი... ახალგაზრდა ხარ ჯერ, ერთ ქალს ხომ არ გამოგებები?

ნოდარი (ღიმილით). ახალგაზრდა ვარ, აბა რა!

ანა. შეირთავდი სხვას...

ნოდარი (ღიმილით). არ გამომყვებოდნენ თუ?

ანა. შეილი გეყოლებოდა...

ნოდარი (ღიმილით). ხუთი, ხუთი ბიჭი მეყოლებოდა!

ანა. სხვა ხასიათსაც გაგისწორებდა...

ნოდარი. მე მხარში ამოდგომა მჭირდება, ცხოვრებას ახლა ვიწყებ!

ანა. იქნებოდი უღარდელად...

ნოდარი. ვიქნებოდი ჩემთვის, მშვენივრად... (უცებ შეცვლილი ხმით.) რა თქვი?

ანა. რა იყო?

ნოდარი. ეგ როგორ იფიქრე, ან თუ იფიქრე, ხმაშალა როგორ ამბობ, არ გრცხვენია?

ანა. იქნებ ასე ჯობდეს?

ნოდარი (უყვირის). ხმა! აღარ გამაგონო! (ცოტახნის მერე, დაყვავებით.) რა დაგემართა, ანიკო, რა მოხდა? ეგ როგორ იფიქრე? მე შენ თავს მიჩვენისხარ, უშენოდ ერთ დღესაც კი ვერ გავძლებ. როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი?

ანა. გუშინ რეზო იყო...

ნოდარი. გააჭირეთ ამ რეზოთი საქმე!

ანა. რაღაც აწვალე, რაღაცის თქმა უნდა... თანაც... თანაც...

ეგ არ არის შენი მეგობარი!

ნოდარი. მე მაგას ყველაფერი ვაპატიე!

ანა. აპატიე?

ნოდარი. და არ ვაპირებ მივუბრუნდე იმ ძველ ამბავს. მე შენზე

კარგად ვიცი, ჩემი მეგობარია თუ არა. ამ სახლში მე ვარ უფროსი!

ანა. თუკი აბატიე, ესე იგი მართლაც ყოფილა რაღაც... მე უნდა ვიცოდე.

ნოდარი. რაღა დროს ეგ არის, ათი წლის წინანდელი ამბავია!

ანა. ნუ მოვა რეზო აქ, არ მინდა, არ შემიძლია!

ნოდარი. ჩემთან ჩემი მეგობარი მოვა თუ არა. მე უნდა გადავწყვიტო.

ანა. გამაგებინე, მე ვილა ვარ, არაფერი?

ნოდარი. შენ ხარ ამ სახლის დიასახლისი. ამიტომ მეტი სიღინჯე გმართებს. ჩვენთან ისედაც არავინ მოდის...

ანა. ხო, არავინ მოდის... წავიდა ეს ცხოვრება, ნოდარი. რად გვიწინდა, რისთვის ვავსებთ ამ ბინას, როგორც თავვები სოროს, ჩვენთან მაინც არავინ მოდის.

ნოდარი. აი, რეზო მოდის, რეზოს კი ქვეყანა იცნობს. კარგია, როცა ასეთი მეგობარი გყავს.

ანა. ი. რა გულუბრყვილო ხარ, როგორი გულუბრყვილო! არ გეშინია, კიდევ რომ საპატიებლად გაგიხდეს საქმე?

ნოდარი (თითს უქნევს). ანუო!

ანა. არა, არა. ეკაზე ვამბობ!

ნოდარი. შენ შენ თავს მიხედე, ჩემს დას მე მოვუვლი.

ანა. მომსმინე-მეთქი!

ნოდარი. გვეყოფა, მეძინება. თუმცა რაღა დამაძინებს, გათენდა!

ნოდარი და მათე

ნოდარი. შენ მაინც დაიძინე, გათენდა, ადამიანო!

მათე. ხომ არ გაწუხებს რამე?

ნოდარი. ხო, მაწუხებს... ძალიან!

მათე. მოდი ჩემთან, ჩამოვჭექი.

ნოდარი. ა, ბატონო. (ჯდება. მათე სახეზე ხელს უფათურებს.) რას შერებინ?

მათე. როგორ დაბერებულხარ!

ნოდარი. რა დროს ჩემი სიბერეა! (მათეს ხელს იშორებს.)

მათე. მე იცი რატომ გავეჩერდი შენთან? ისიც მასწავლებელია-მეთქი!

ნოდარი. მაპატიე, ვერ მოვიცალე...

მათე. ეგ არაფერი, მაგაზე ნუ დარდობ. ცუდია, როცა კაცი თავის საქმეს არ აკეთებს, კალიასავით სულ გადახტომაზე რომ ფიქრობს...

ნოდარი. მე რომ ჩემთვის უკეთესი მინდოდეს, ეს არის ცუდი?

მათე. განა არის რამე მასწავლებლობაზე უკეთესი?

ნოდარი. ეპ, ჩემო მათე, აღარა აქვს გასაეალი შენს ადათ-წყესებს, მოსწრებაზეა ცხოვრება.

მათე. როგორ დაბერებულხარ...

ნოდარი. დავიდალე...

მათე. უჩემოდ ბევრი რამე გისწავლია, ვისგან ისწავლე?

ნოდარი. ცხოვრებამ მასწავლა.

მათე. როგორ დაბერებულხარ... (თავზე ხელს უსვამს.)

ნოდარი. კიდევ მითხარი რამე.

მათე. შენ მასწავლებელი ხარ.

ნოდარი. მე მასწავლებელი ვარ...

მათე. შენ კი არ ვინდა, რომ მასწავლებელი იყო!

ნოდარი. მე ცხოვრება მინდა!

მათე. ხალხი ასე არ ცხოვრობს!

ნოდარი (გამოფხიზლდება, სკამიდან წამოდგება). კარგი, გვეყოფა... მეძინება.

მათე. დაიძინე.

ნოდარი. შენ არ გეძინება?

მათე. მე მაინც არ დამეძინება.

ნოდარი ვალის, ცოტა ხნის მერე ბრუნდება, პალტო მოაქვს, მათეს მხრებზე მოახუტავს.

ნოდარი. ჩემი პალტოა. ასე თბილად იქნები. ხვალ ექიმთან წავიყვან...

მათე. ხვალ იყოს, არ მეჩქარება...

გიორგი მოქმედიძე

18.

ნოდარი და ბაბო

ნოდარი. არ ვიცი რას მივაწერო თქვენი მობრძანება, ქალბატონო ბაბო. რა გქნა, რა მოგართვათ, რით გცეთ პატივი. ქალებში არ არიან შინ. პირველად ხართ ჩემს ოჯახში...

ბაბო. აქელ ვიყავი და შევივლი-მეთქი. რამდენი ხანია, რაც ჩვენ უნივერსიტეტი დავამთავრეთ?

ნოდარი. ჩვიდმეტი წელია!

ბაბო. წარმოგიდგენია, როგორ დავებრძოდი!

ნოდარი. თქვენზე ვერ ვიტყვი მაგას!

ბაბო. თქვენობით რატომ მელაპარაკები? რა კარგი იყო სტუდენტობა, ყოველდღე ერთად ვიყავით, გახსოვს?

ნოდარი. რა დამავიწყებს? ბატონი ვარლამი როგორ ბრძანდება? დღეს სემინისტროსთან დავინახე, მისვლა მინდოდა, მაგრამ მომერდა.

ბაბო. ვარლამს ძალიან გაუხარდებოდა. ერთად სწავლობდით. ისედაც უნდა მოხვიდე ჩვენთან, ჩვენ უბრალო ხალხი ვართ.

ნოდარი. ბატონ ვარლამს, ალბათ, იმდენი საქმე აქვს...

ბაბო. ნულა მეტყვი! რა კარგი ავევია, სადაურია?

ნოდარი. გერმანული!

ბაბო. მშვენიერია, მშვენიერია! თპო, ზუსტად ჩვენისთანა ტელევიზორი გქონია!

ნოდარი. თქვენ იგანა ფერადი ტელევიზორი არა გაქვთ?

106

ბაბო. ბინა კი უნდა გამოიცვალო.

ნოდარი. ვიწროდ არა ვარ.

ბაბო. ხმაური არ გაწუხებს?

ნოდარი. კი, ცოტას.

ბაბო. შენ ვინ გეტყვის უარს?

ნოდარი. გმადლობთ, ქალბატონო ბაბო.

ბაბო. ყური მოვკარი, რაღაცას ლაპარაკობენ შენზე. ხომ იცი,

ჩვენც სიტყვას შეგაწევთ.

ნოდარი (ღიმილით). ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ...

ბაბო. შეილი რამდენი გყავს?

ნოდარი. ეჰ, შეილი რომ მყავდეს, რა მიჭირდა!

ბაბო. ეს კი არ ვიცოდი!

ნოდარი. თქვენი შეილი კი ჩვენს სკოლაში სწავლობს.

ბაბო. ზარმაცობს არა?

ნოდარი. ძალიან ცოცხალი ბავშვია.

ბაბო. ზარმაცია, ზარმაცი. მაგრამ, რომ იცოდე, როგორი ჰქვია-ნია. ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვის, გაგიკვირდება.

ნოდარი. კი, კარგი ბავშვია, ცქვიტი!

ბაბო. აღარ არის ბავშვი, წელს ამთავრებს. როგორ გაირბინა დრომ. წარმოგიდგენია — ჩემი შეილი სკოლას ამთავრებს!

ნოდარი. ძალიან სწრაფად გარბის დრო, ძალიან.

ბაბო. ვერ მოვდივარ სკოლაში, ვერიდები, რამე არ თქვან. სხვისი მეჭავრება, ზოგიერთი მშობელი სულ სკოლაში რომ ზის. თანაც შენი იმედი მაქვს...

ნოდარი. მნელია ახლა სკოლაში მუშაობა...

ბაბო (ღიმილით). ცოტა ხანს მოითმინე...

ნოდარი. სხომ იცით ჩვენი ბავშვების ამბავი.

ბაბო ჩვენ ვანა ასეთები ვიყავით?

ნოდარი. როგორ გეკადრებათ!

ბაბო. რა ეშველცბათ, არ ვიცი. სკოლაში მანქანას ვუგზავნი, რომ პირდაპირ შინ წამოვიდეს. ვინც რა უნდა ის თქვას. მოუარონ თავის შეილებს და მაშინ აღარ გაუუგზავნი მანქანას. მე მშობელი ვარ და მევალეა ჩემს შეილზე ვიზრუნო. ხომ მართალია?

ნოდარი. რასაკვირველია!

107

ბ ა ბ ო . ახალი სადარდებელი გამიჩნდა, აღარ ვიცი, რა ვქნა. მგონი, ფიზიკაში ამ მეოთხედში ორიანი გამოყვედა. თუ ასე გაგრძელდა, ატესტატს არ მისცემენ და გარეთ დარჩება.

ნ ო ლ ა რ ი . ფიზიკაში?

ბ ა ბ ო . ვიცინოდი, ვინმე რომ იტყოდა, მასწავლებელი ჩამაჯინდაო, ნამდვილი კი ყოფილა. არაფრით არ უწერს სამიანს. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, ხუთიანს ხომ არ ვთხოვთ? ასეთი სიკერზე გამიგია? ყველა რომ პრინციპულად მიუღდეს საჭმეს, მაშინ თქვენს სკოლასაც რაღაცას გამოუძებნიდნენ, ხომ მართალია? თანაც ვერ დავიჭერებ, ჩემმა შვილმა სამიანზეც ვერ მოამზადოს საგანი, ვერ დავიჭერებ და რა ვქნა.

ნ ო ლ ა რ ი . ფიზიკას შალვა აბესაძე ასწავლის!

ბ ა ბ ო . მე არ ვიცი ვინ არის ეგ შალვა აბესაძე, მასწავლებლებს არ ვიცნობ. ბავშვმა თვითონ უნდა ისწავლოს. ჩვენც მივებმარტობდით, ბატონო! ვარლამს ფიზიკა გაუჭირდება? მაგრამ რა გამოვა? დაამთავრებს სკოლას და იქნება უცოდინარი.

ნ ო ლ ა რ ი . ისე ცოტათი რომ მივებმართო შეიქნას...

ბ ა ბ ო . ყველაფერს საზღვარი აქვს!

ნ ო ლ ა რ ი . საზღვარი კი უნდა იცოდეს.

ბ ა ბ ო . გადამეტებული არაფერი ვარგა!

ნ ო ლ ა რ ი . მართალია, არ უნდა გადაამეტო.

ბ ა ბ ო . თანაც ბიჭის საქმე უფრო რთულია!

ნ ო ლ ა რ ი . გაცილებით!

ბ ა ბ ო . ვინ არის ის შალვა?

ნ ო ლ ა რ ი . ო, რა ძალი ჰყავს!

ბ ა ბ ო . ძალი რა შუაშია?

ნ ო ლ ა რ ი . უცნაური კაცია.

ბ ა ბ ო . მასწავლებელი და უცნაური? უცნაური მხატვარი გამიგია. ან პოეტი.

ნ ო ლ ა რ ი . რატომ, მასწავლებელიც შეიძლება იყოს ცოტა უცნაური, ისიც აღამიანია.

ბ ა ბ ო . მე ზღონი, მასწავლებელი, უპირველესად, მასწავლებელი უნდა იყოს, არა?

ნ ო ლ ა რ ი . რა თქმა უნდა!

ბ ა ბ ო . კარგი, ჩემო ნოდარ, აღარ შეგაწუხებ.

ნ ო ლ ა რ ი . ძალიან გამახარებ თქვენი მოსვლით.

ბ ა ბ ო . ვიფიქრებ, ერთი წუთით შევირბენ-მეთქი. რა ლამაზი სურაა!

ნ ო ლ ა რ ი . ანას მოართვეს მოწაფეებმა.

ბ ა ბ ო . მასწავლებელია?

ნ ო ლ ა რ ი . იყო.

ბ ა ბ ო . კარგი გიქნიათ. ერთი წუთი კი არა, ერთი საათია, რაც აქა ვარ. ისე, ერთმანეთი არ უნდა დავივიწყოთ, არ ვარგა. აბა, ნახვამდის.

ნ ო ლ ა რ ი . რა გეჩქარებათ, სადაცაა, ანაც მოვა.

ბ ა ბ ო . შინ ათასი საქმე მაქვს.

ნ ო ლ ა რ ი . გაგაცილებთ.

ბ ა ბ ო . რად მინდა გაცილება, თუ ღმერთი გწამს!

ნ ო ლ ა რ ი . ტროლეიბუსი აქვე ჩერდება, ჩვენი სახლის წინ.

ბ ა ბ ო . მანქანა მელოდება. გამოიარე ჩვენთან, ცოლი გაგვაცანი, არ უნდა ვიცნობდეთ შენს ცოლს? არ ვარგა ასე. ნუ დავიკარგებით.

ნ ო ლ ა რ ი . ქალბატონო ბაბო...

ბ ა ბ ო . რა არის ეს „ქალბატონო“, არა გრცხვენია?

ნ ო ლ ა რ ი . რა კარგად თქვით, მასწავლებელი უპირველესად მასწავლებელი უნდა იყოსო! სწორედ შალვას უნდა მოესმინა ეს სიტყვები! აი, თქვენ რომ განცხადება დავუწერათ...

ბ ა ბ ო . რა განცხადება? რატომ? მე იმასთან რა მესაქმება? არც ვიცნობ.

ნ ო ლ ა რ ი . მასწავლებელი უპირველესად მასწავლებელი უნდა იყოს! მარტო ეს დაწერეთ, მეტი არაფერია საჭირო. მართლაც და, უატესტატოდ ხომ არ დარჩება თქვენი შვილი. ბიჭია, ბიჭის საქმე კი უფრო სერიოზულია...

ბ ა ბ ო . კი, მაგრამ...

ნ ო ლ ა რ ი . მარტო ეს ორი სიტყვა!

ბ ა ბ ო . განცხადება რა საჭიროა?

ნ ო ლ ა რ ი . ყველა მშობელი ვალდებულია, აქტიურად ჩაებას სკოლის ცხოვრებაში. თქვენ კი გაცილებით მეტი გვევლებათ, ვიდრე სხვას.

ბ ა ბ ო. მართალი ხარ, ასე განდგომა სკოლისაგან არ შეიძლება..

ჩვენ თუ თვალი დავსუშეთ...

ნ ო ლ ა რ ი. არ შეიძლება!

ბ ა ბ ო. როგორ დამამშვიდე.

ნ ო ლ ა რ ი. თქვენი იმედი მაქვს.

ბ ა ბ ო. კარგად იყავი, ჩემო ნოდარ, უსათუოდ გამოგვიარე, უსა-
თუოდ (მიდის.)

19

ნ ო ლ ა რ ი, ანა, ეკა

ნ ო ლ ა რ ი (აღშფოთებული). და მე ნიშანი უნდა დავაწერინო
შალვას! შალვაზე კი ახია, მაგრამ ეს ხომ უსინდისობაა, უმ-
სგავსობა!

ანა. როგორ შეიძლება!

ნ ო ლ ა რ ი. უსაქმური! უნიჭო! არაფრის გამკეთებელი! აი, ვინ
არის მისი შვილი! გაკვეთილების გაცდენის მეტი არაფერი
იცის! ფეხბურთის თამაშის მეტს არაფერს აკეთებს და კიდევ
რას აკეთებს, ეშმაკმა იცის. სკოლაში გიტარით დადის, ფი-
ლარმონია გამიხსნა. შინ მანქანით მიაბრძანებენ: უი, დედა-
ენაცვალოს, რამე არ მოუვიდეს! ვითომ სხვისი შვილები ბა-
ვშეები არ არიან და აბა, ნოდარ, დატრიალდი, შენი იმედი
გვაქვს, ბავშვს ცოდნას ნუ დაუკარგავ, მასწავლებელი ჩაჯი-
ნებულა, ატესტატი მიეცი! სამიანი მომინდომეს! აი, ამ ტე-
ლევიზორმა უფრო მეტი იცის ფიზიკაში, ვიდრე იმან.

ანა. სხვამ რომ გააკეთოს, კიდევ ჰო..

ნ ო ლ ა რ ი. ნუ ესუბრებით, ბატონო! ოპ, ჩვენ ხალხი გვიყურებს,
ოპ, ჩვენგან მაგალითს იღებენ! წარმოგიდგენია! ერთი გაჩხინ-
კული გოგო იყო, ერთი ჭრელი ჩითის კაბა ეცვა ზამთარ-ზა-
ფხულ, მაგრამ ყოჩაღ, ძმაო, როდის მიხვდა, ვარლამი, რომ
დიდი კაცო ვახდებოდა, როდის! არა, ვარლამს ასეთი ცოლი
არ ეკადრება. ოქროა ვარლამი, ოქრო! საქმიანი, სამართლიანი
პატროსანი, კარგი სპეციალისტი. მე თვითონ დავურეკე ვარ-
ლამს, თქვენს შვილს ორიანი ჰყვება-მეთქი. ეტყობა, ეკუთვ-

110

ნის და იმიტომ ჰყვებაო, ასე მიბასუხა. ოპ, მანქანა მელოდე-
ბა! ოპ, ჩვენ უბრალო ხალხი ვართ! ოპ, ცოლი გავგაცანი, გა-
მოიარე! ჩვიდმეტი წელია ჩემი ამბავი არ უკითხავს და ახლა
მოყენატრე?

ანა. შენ მაინც უარი უთხარი?

ნ ო ლ ა რ ი. ოპ, ჩვენისთანა ტელევიზორი გქონიაო! ვითომ რა, არ
შეიძლება ისეთი ტელევიზორი რომ მქონდეს? თუ იმათთვის
სხვანაირ ტელევიზორებს აკეთებენ და ჩვენთვის კი სხვა-
ნაირს? ავეჯიც მომიწონა: მშვენიერი, მშვენიერი ავეჯი გქო-
ნიაო...

ანა. მე თუ მკითხავ, არ უნდა გეთქვა უარი!

ნ ო ლ ა რ ი. ანა?

ანა. ჰო, არ უნდა გეთქვა!

ნ ო ლ ა რ ი. რას ამბობ?

ანა. განა ყველა ასე არ აკეთებს საქმეს? აი, ბინას დაგპირდა, ვინ
გაუშვებს ასეთ შემთხვევას? მითხარი, ვინ? აბა, ერთს დაადე
ხელი!

ნ ო ლ ა რ ი. გაჩუმდი! შენ არაფერი გესმის!

ეკა. ის ბიჭი კი მეცოდება. მართლა კარგად მღერის?

ანა. შენგან მიკვირს, ნოდარ!

ნ ო ლ ა რ ი. რას ლაპარაკობ, გაგიყდი?

ანა. უნდა გაგეკეთებინა ეს საქმე. რა არის ეს შენთვის, ბოლოს
და ბოლოს? ხელის ერთი აქნევა, ბუზის მოკვლა! დიდი ამბა-
ვი — სამიანი! სირცხვილიც კია ამაზე ლაპარაკი.

ნ ო ლ ა რ ი. ანა!

ანა. ასე არ გამოდგება, ნოდარ, დაგჩაგრავენ!

ნ ო ლ ა რ ი (ჩუნიად). არც მოთქვამს უარი.

ეკა. რა-ა?

ნ ო ლ ა რ ი. მართლაც, რატომ უნდა მეთქვა უარი? დიდი რამე სა-
მიანი! სირცხვილიც კია ამაზე ლაპარაკი. თანაც ჩვენ ძველი
მეგობრები ვართ, თანაკურსელები!

ანა. შალვა რას იტყვის?

ნ ო ლ ა რ ი. მე ვარ ღირეპტორი თუ ის?

ანა. ბავშვები?

ნ ო ლ ა რ ი. სამიანი რომ არ დავაწერინო, მომაფურთხებენ ეგ შენი

111

ბავშვები! ვერაფერი გამიგია, შენ არ იყავი, უარი რატომ უთხარიო.

ანა. რა თქმა უნდა, სწორედ მოიქეცი, ოღონდ...
ნოდარი. კარგი, გვეყოფა! გშია, მაქამე!

ანა. კი, ბატონო.
ეკა. ნოდარ, ნუთუ, ნუთუ მართლა?

ნოდარი. ჰო! ჰო! მართლა!

ეკა. კი მაგრამ, როგორ დათანხმდი, როგორ? ალბათ, მატყუებ არა?

ნოდარი. შენ გასუმდი, ეს შენი საქმე არ არის, წადი, შენს მელანოს მიხედ!

20

მათე და ანა

ლაშ.

ანა. რატომ მიყურებთ ასე?

მათე. არც შენ გეძინება?

ანა. მე თქვენ არ გიყვარვართ!

მათე. მე ყველა მიყვარს.

ანა. მარტო ეკა. იმიტომ, რომ...

მათე. ჰო, ეკა კარგი გოგოა.

ანა. განა ჩემი ბრალია, ეჭიმიან რომ არ წაგიყვანეს? რა გინდათ ჩემგან ბოლოს და ბოლოს?

მათე. უსინდისობა, რაც არ უნდა პატარა იყოს, მერე გაიზრდება, ბოროტებად გადაიქცევა და ვინმეს უსათუოდ იმსხვერპლებს.

ანა. მე მინდა ჩემი ოჯახი მქონდეს. ნადირსაც აქვს თავისი ბუნაგი, მე რომ მიწოდდეს, გასაკვირია?

მათე. მკაცრი ხარ, ანა, მკაცრი!

ანა. ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მაინც გეტყვი: არ მიყვარს, როცა უცხო ჩემი ოჯახის საქმეებში ერევა.

მათე. მე კი შეგონა ამ ქვეყანაზე უცხო არავინ იყო. ხეებივით ცალ-ცალკე ვდგავართ, მაგრამ ფესვები ერთმანეთში გვაქვს გადახლართული.

112

ანა. ფილოსოფოსიც ყოფილხართ!

მათე. არა. მე სოფლის მასწავლებელი ვიყავი!

ანა. ჩემი გაგება არავის არ უნდა!

მათე. ზოგჯერ ჩვენ თვითონ ვჭრით ჩვენს ფესვებს!

ანა. აი, მე ახლა ძილის წამალი მიჭირავს ხელში, რომელიც დიდი ხანია აღარ მშველის, მაინც ვსვამ, იმიტომ, რომ თავი მიწაზე მოვიტყუო და ყოველდღე ასე... თქვენ კი...

მათე. იქნებ, მართლაც არ არის ჩემი საქმე... ეკა კი ჩემთან წამოვა.

ანა. რატომ?

მათე. ასე აჯობებს!

ანა. ღმერთო ჩემო, გადამრევს ეს ბერიკაცი!

21

შალვა, ნოდარი, ანა, ეკა, მათე

ნოდარი და შალვა მაგიდასთან სხედან, ეკა ქსოვს. ანა ტელევიზორს უყურებს.

ნოდარი. რა თამაში იყო გუშინ, რა თამაში! ჩვენებს თოვლში ასე ეთამაშოთ, პირველად ვნახე. რას იტყვით, ბატონო შალვა, ხომ მოგეწონათ?

შალვა. გაგვიცინებთ, ალბათ, მაგრამ ჯერ ფეხბურთი არ მინახავს.

ნოდარი. როგორ მოახერხებთ?

შალვა (უხერხული ღიმილით). რა ვიცი...

ნოდარი. ანა, გესმის, ბატონ შალვას თურმე ჯერ ფეხბურთი არ უნახავს! (შალვას.) ტელევიზორს მაინც არ უყურებთ?

შალვა. ტელევიზორი არა მაქვს.

ნოდარი. ტელევიზორი კაცს არ ჰქონდეს, პირველად მესმის.

შალვა. მაღაზიები სავსეა, განვადებთოც იყიდება. მე კარგ ტელევიზორს გამოვნივინებთ, ნაცნობი მყავს.

შალვა. მე კი არავის ვცნობ...

ნოდარი. თუმცა აგერ არ არის ტელევიზორი! ანა, ჩვენი ძველი

113

8. თ. კილაძე

ტელევიზორი უნდა ვაჩუქოთ ბატონ შილვას. პატარა შეყვ-
თება უნდა და ახალივითა. მე შევავკეთებინებ.

შალვა. რას ბრძანებთ!

ნოდარი. უარს ნუ მეტყვი, იცოდეთ, ძალიან მეწყინება. კე-
თილა გულით, მეგობრულად...

შალვა. არა, არა!

ნოდარი. ჩვენ მაინც ისე გვიდგას!

შალვა. არა, ბატონო!

ნოდარი. დიდი ამბავი!

შალვა. მაღლობელი ვარ, მაგრამ ვერ წავიღებ. მე თვითონ ვე-
ყიდი უსათუოდ, ჯერ არ მჭირდება...

ნოდარი. თუ ძველს იწუნებთ, მაშინ ახალი უნდა წაიღოთ!

შალვა. აბა, რას ამბობთ, გეთყვია?

ნოდარი. გათავებულია ეს საქმე! ახლა ერთ რამეს გეტყვით,
ოღონდ არ გეწყინოთ.

შალვა. გისმენთ. ეს რა დღეში ჩამადგეთ, არ მჭირდება ტელე-
ვიზორი ნამდვილად.

ნოდარი. მაგაზე სიტყვა აღარ გამაგონოთ. ჰო, რა მინდოდა
მეთქვა: ცუდია, რომ არავის იცნობთ. თქვენ ჩემგან რა გეს-
წავლებათ, მაგრამ ჩემი აზრით, პედაგოგი კარჩაკეტილად არ
უნდა ცხოვრობდეს.

შალვა. დიახ, მართალი ბრძანდებით.

ნოდარი. თუ გინდათ, იმასაც გეტყვით, რისთვისაც მოხვედით
თქვენ აქ? ჩემს ოჯახში პირველად ხართ, ხომ არ ვცდები?

შალვა. პირველად ვარ.

ნოდარი. სხვათა შორის, არც ის ვარგა, რომ თქვენ აქ პირველა-
და ხართ.

შალვა. ხომ იცით...

ნოდარი. რა ვუყოთ მერე. ალბათ, არ გინდოდათ და არ მო-
დიოდით. მაშ ასე: თქვენ დღეს იმიტომ მოხვედით აქ, რომ
მოსკოვში წასვლა გინდათ, ხომ მოვარტყი ათიანში?

შალვა (თავხალუნული, ჩუმად). დიახ...

ნოდარი. მოსკოვში ჩვენი წასვლის ამბავი შეიტყვეთ თუ არა,
აქეთ გამოქანდით.

შალვა. გამიკვირდა...

ნოდარი. უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ ჯერ დავამ-
თავრო.

შალვა. ბრძანეთ, ბრძანეთ!

ნოდარი. გმადლობთ. ასე გადავწყვიტეთ: მოსკოვში, ნორჩ ტე-
ქნიკოსთა საკავშირო შეკრებაზე ბავშვებს წავიყვანთ მე, ესე
იგი თქვენი მონა-მორჩილი დირექტორი და ისტორიის მას-
წავლებელი ბახტაძე. ზამთრის არდადეგებს მოსკოვში გა-
ვატარებთ.

შალვა. კი მაგრამ, გეთყვია, უნცაურია... დიახ, ამიტომ მოვედი.

ნოდარი. ზომ ვთქვი!

შალვა. ადრეც მინდოდა მოსვლა, რასაკვირველია... მართლაც,
უცნაურია, არა, შეიძლება უცნაური არ იყოს, მაგრამ მაინც
უცნაურია. ის ბავშვები ჩემი აღზრდილები არიან, ისტორიის
მასწავლებელს იქ რა უნდა?

ნოდარი. არ იფიქროთ, რომ უცებ, ხელის ერთი მოსმით გადა-
წყვიტეთ!

შალვა. უცნაურია, გეთყვია.

ნოდარი. სხვათა შორის, ისინი მართო თქვენი აღზრდილები არ
არიან. რატომ გავიწყდებათ სკოლა, კოლექტივი? რაც შეეხება
ბახტაძეს, თითქოს, მართლაც, უცნაურია ისტორიის მასწავ-
ლებლის წაყვანა...

შალვა. მეც მაგას გეუბნებით!

ნოდარი. მაგრამ აზრი გამოითქვა, რომ ის უფრო საიმედოაო.

შალვა. საიმედო?

ნოდარი. ამოდენა გზა, ამოდენა ქალაქი. მგონი, თქვენ მოსკოვ-
ში ნამყოფი არცა ხართ...

შალვა. დიახ...

ნოდარი. არ ვარგა, ნამდვილად არ ვარგა. ზაფხულში უსათუოდ
უნდა წახვიდეთ. მე წერილს გაგატანთ ნაცნობთან და ბინად
უნდა წახვიდეთ. მე წერილს გაგატანთ ნაცნობთან და ბინად
იმასთან იქნებით. რამდენ რამეს ნახავთ: აქეთ წითელი მოე-
დანი, კრემლი, მავზოლეუმი, ტრეტიაკოვის გალერეა, იქით სა-
სოფლო-სამეურნეო გამოფენა! წადით, უსათუოდ წადით. ხომ
იცით, მე თქვენ ცუდს არ გირჩევთ.

შალვა. გმადლობთ.

ნოდარი. რის მადლობა, თუ კი რამე შემიძლია, არ მომერიდოთ.

ჩიტი სადაც ვალობს, მისი ბაღდადიც იქ არისო, ხომ გაგი-
გონიათ? ჩვენთვის, პედაგოგებისათვის, ჩვენი ბაღდადი სკო-
ლაა. სკოლის ინტერესები ჩვენს პირად ინტერესებზე მაღლა
უნდა დავაყენოთ. სხვათა შორის, მე ვიყავი ერთადერთი, ვინც
თქვენს კანდიდატურას მხარს უჭერდა, თანაც მტკიცედ. არ იფი-
ქროთ, პირში გეფერებოდეთ. ისიც უნდა გითხრათ, რომ მე
დღესაც ვიბრძვი, თუმცა უკვე გადაწყვეტილია.

შალვა. ისე დიდი მაღლობა, მაგრამ მაინც არაფერი მესმის.
ნოდარი. მაღლობის გულსთვის არ გეუბნებით. მართალი ხართ,
ერთი შეხედვით მართლაც კაუტუბარია: ხე მე მოვჭრა და სახ-
ლი სხვაკომუნის? რა მოხდა ასეთი? როცა სათხოვნელად
მივედი, ბატონი შალვა გავუშვათ-მეთქი, იცით რა მითხრეს?
ბატონ შალვას ჯგუფში ოროსნები ჰყავსო. რა უნდა მეთქვა?
ვერ გამტყუნებ. ერთი ოროსანია, ბოლოს და ბოლოს, დიდი
ამბავი, ნაჯრამ, როგორც ჩანს, არ შეიძლება.

შალვა. მე რას ვარგ ნიშანს ვერ დავუწერ!
ნოდარი. აი, სომ ხედავთ?
შალვა. არაფერია შემთხვევაში!
ნოდარი. როგორ შეიძლება მე თქვენ გითხრათ, უცოდინარს ნი-
შანი დაუწერეთ-მეთქი? მე ჩემს თავს ამის უფლებას ვერ მი-
ვცემ.

შალვა. არ შეიძლება.
ნოდარი. რასაკვირველია, არ შეიძლება! ეს თქვენი საქმეა მხო-
ლოდ. მართალია, მთელ სკოლას ჩირქი ეცხება და არც ის უნ-
და დავგავრცადეს, რომ ჩვენი სკოლა სანიმუშოა, მაგრამ რას
იზამ...

შალვა. არ შეიძლება, გესმის? როგორ გითხრათ, როგორ ავიხს-
ნა... აი, ამ საფერფლეს შეიძლება დავუწეროთ სამიანი ფი-
ზიკაში?

ნოდარი. ო, როგორი ხუმარა ხართ!
შალვა. მე არ ვხუმრობ, გეთაყვა. არ შეიძლება. მე მესმის, რო-
გორ არა, ნაჯრამ არ შეიძლება!

ნოდარი. ისე, რასაკვირველია, საფერფლეს არ შეიძლება სამიანი
რომ დავუწეროთ ფიზიკაში, მაგრამ მოწაფეს — კი. ეს თქვენი

ნებაა, ბატონო შალვა. ძალს ვერ დაგატანთ. მე თქვენ მხარე-
ზე ვარ... მართლა, თქვენი ძალი როგორ არის?

შალვა. რექსა?
ნოდარი. ჰო, რექსა.

შალვა (გაძოცოცხლებდა). ჩვენ დიდი მეგობრები ვართ. შინ რომ
გბრუნდები. კართან მელოდება. დამინახავს თუ არა, ბზრიალს
დაიწყებს, ისე უხარია.

ნოდარი. სასადიროდ არ დავაყვით და არა?
შალვა. ჩემგან მონადირე არ გამოვიდა. ერთი-ორჯერ კი ვცადე.
მონადირეებად იბადებიან.

ნოდარი. რატომ? თუ კი უნდათ, სწავლობენ კიდევ. ნაჯრამა
არაჩვეულებრივი სპორტია. (ეკას.) წადი, გაიარე, მშენებელი
დღეა, რას უზიხარ შინ?

შალვა. ალბათ... მართალი ბრძანდებით... რა თქმა უნდა, სწავლი-
ბენ. მაგრამ მე კი არა, რექსაც ვადაეჩვია ნაჯრამს. უცნაუ-
რია ძალია, ჟანჯრის რაფაზე თათებს დააწყობს. ზედ თავს და-
აღებს და ასეა საათობით. ნეტავ, რას ფიქრობს. გამაჯებინა.

ნოდარი. ლექსებს ხომ არა წერს?
შალვა (სიცილით). რა ვიცი...

ნოდარი. კი, წერს, ალბათ. ყველაფერი მისალოდნელია. ძალს
ვინ ჩივის, ბავშვებსაც ასე აცდენთ გზიდან.

შალვა. გზიდან ვაცდენ? როგორ გეკადრებათ? ვის ეუბნებით მა-
გას? მე ვაცდენ ბავშვებს გზიდან? გეთაყვა, არ უნდა დავაუწ-
ყდეთ ვის ელაპარაკებით!

ნოდარი. გორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს. გალილეი აწამეს,
ლომონოსოვს ჭალამნები ეცვა, ეს არის ფიზიკა?

შალვა. კი მაგრამ...
ნოდარი. დამაცადეთ!
შალვა. უნდა დაფიქრებულყოფით, სანამ ამას იტყოდით.
ნოდარი. და ბავშვებიც ტირიან...
შალვა. მერე ცუდია, რომ ტირიან?
ნოდარი. ჩვენ მტრიალა ფიზიკოსებით შორს ვერ წავალთ.
შალვა. აბა, რობოტები ვაჭარბოთ?
ნოდარი. ეს პროეოკაცია! არ გეკადრებათ, ბატონო შალვა.
მე ვიჭვი, რობოტები ვაჭარბოთ-მეთქი? მე იმას გეუბნე-

ბით, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული, ის ასწავლეთ ბავშვებს-მეთქი. ჩვენზე ჰკვიანი ხალხის შედგენილია ის პროგრამა, ტყუილად კი არ შემომჩივლეს მშობლებმა...

შალვა. საჩივარი ერთმა მშობელმა შემოიტანა მხოლოდ, აი იმ ბავშვის დედამ, მე რომ სამიანს არ ვუწერ. თუმცა, თქვენთვის უარის თქმა ძალიან მიჭირს, მაინც ვერ დავუწერ.

ნოდარი. მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ, უარს რომ მეუბნებით!

შალვა. მადლობელი ხართ?

ნოდარი. უარი რომ არ გეთქვათ, საერთოდ წარმოდგენა შემეცვლებოდა მასწავლებლებზე. ეს კი საშინელებაა!

შალვა. საშინელება! როგორ იქცევა ზოგიერთი ჩვენი კოლეგა, საჩუქრებსაც კი იღებს მშობლებისაგან...

ნოდარი. არ ვარგა!

შალვა. საჩუქარს თუ მოუტანენ, ნიშანს აუწევს!

ნოდარი. არ ვარგა!

შალვა. ზღუვიც ეჩვევა, თუ საჩუქარს იშოვოს, ყველაფერი კარგად იქნება!

ნოდარი. არ ვარგა!

შალვა. შექრთამეობას ეჩვევა, წარმოგიდგენიათ?

ნოდარი. არ ვარგა-მეთქი!

შალვა. რასაკვირველია, არ ვარგა. რა პატივისცემა უნდა ქონდეს ბავშვს მასწავლებლისა?

ნოდარი. როგორ კადრულობთ, ბატონო შალვა, ამას?

შალვა. რას?

ნოდარი. ეს ხომ დაბეჭდება!

შალვა. რას ბრძანებთ?

ნოდარი. არ ვარგა კოლეგებზე ასე ლაპარაკი. კარგით, კარგით. ეკა, შენ გეუბნები, წადი-მეთქი!

ეკა დაძაბული უსმენს, ადგილიდან არ იჭერის.

შალვა. როგორ იფიქრეთ, თითქოს მე... არა, როგორ იფიქრეთ?

ნოდარი. კარგით-მეთქი, მე უკვე დამავიწყდა. მაშ, მართო ერთმა მშობელმა შემოიტანა საჩივარი არა?

შალვა. დიახ, მხოლოდ ერთმა!

ნოდარი. მერე?

შალვა. ბატონო?

ნოდარი. რადგან ერთია, იმიტომ პატივი არ უნდა ვცეთ. არ მოეუხსინოთ?

შალვა. როგორ არა, მაგრამ გამიკვირდა, ამდენი წელია მასწავლებელი ვარ და ამის მსგავსი შემთხვევა არ მქონია. მივედი და ვკითხე...

ნოდარი. ვინც გიჩივის, იმასთან მიხვედით?

შალვა. დიახ.

ნოდარი. გასაგებია, მერე?

შალვა. რატომ მიჩივლეთ-მეთქი. არ უნდა მეკითხა?

ნოდარი. პირიქით, ძალიან სწორად მოქცეულხართ. რა გიპასუხათ?

შალვა. იცით...

ნოდარი. (ცივად). ჯერ არა.

შალვა. ძალიან შეწუხდა.

ნოდარი. რატომ?

შალვა. თურმე...

ნოდარი. ჰო?

შალვა. თქვენ გითქვამთ, საჩივარი შემოიტანეო.

ნოდარი. ასე გითხრათ?

შალვა. დიახ, ასე მითხრა.

ნოდარი. მართალი უთქვამს!

შალვა. მართალი უთქვამს? მე კი მეგონა, ჩემი მოერიდა და მომატყუა.

ნოდარი. რატომ უნდა მოეტყუებინეთ მაინც?

შალვა. რა ვიცი...

ნოდარი. აი, ხომ ხედავთ, არც კი იცით! ასე როგორ შეიძლება? კი არ მოგატყუათ, სიმართლე გითხრათ, მე მშობლების ინიციატივა მინდა გავზარდო. იქნებ ისიც არ იცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მშობლების მხარდაჭერას ჩვენთვის, პედაგოგებისათვის?

შალვა. მე კი მეგონა...

ნოდარი. აი, რას გეტყვით, ბატონო შალვა: მართალია ზოგაერთი მასწავლებელი ზურგს უკან ფანატიკოსს მეძახის...

შალვა. მე არა!

ნოღარი. მაგრამ სრულებითაც არ მწყინს. მეტსაც გეტყვით — მისარია! ეს არც ისე საგინებელი სიტყვაა, ზოგიერთს რომ ჰგონია. რატომ არ უფიქრდებით იმას, რომ თქვენ სწორედ ეს ფანტიზმი გაკლიათ. მასწავლებელმა ჯერ თავისი თავი უნდა აღზარდოს და მერე ისე უნდა ასწავლოს მოწაუეს. სრულებითაც არ მსიამოვნებს, ამას რომ გეუბნებით, ჭკუას რომ გარიგებთ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. იმასაც გეტყვით, მასწავლებელმა მხოლოდ იმ წლების მანძილზე კი არ უნდა იზრუნოს მოწაფეზე, როცა მას ასწავლის, არამედ პერსპექტივაშიც უნდა წარმოიდგინოს მთელი მისი განვითარება, მთელი მისი ცხოვრება. ასე რომ, ოროსანი მოწაფის საკითხს შეიძლება სხვა კუთხიდანაც შევხედოთ. ეს ჩემი აზრია, თავს არ გახვევთ, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი...

შალვა. შეიძლება, შეიძლება... მაგრამ მე ხომ ვიცი, რატომაც ამითვალისწინეთ, ბატონო ნოდარი. იმიტომ რომ ძალი არ დავითქვით, არ გაჩუქეთ, ეგ არის და ეგ!

ნოდარი. სწორია! (სიცილით.) სანამ ის თქვენთან იქნება, ვერ მოვრიცხვებოთ. ის მე მეკუთვინს! (ტელეფონი რეკავს.) ანა, მიდი ტელეფონთან!

ანა (ყურმილს იღებს). გისმენთ! ახლაღი!

ნოდარი. ვინ არის?

ანა. შენ გიზოვენ!

ნოდარი (ყურმილს იღებს). გისმენთ! რეზო ხარ? გამარჯობა... სად დააკარგე, ასე უნდა?... იქნებ აღარ გვკადრულობ... რა ვიცო... საქმე თუ გაქვს, მოდი... რა თქვი?... შენ ნასვამი ხომ არა ხარ?... ჰო... მერე რა?... მოდი და აქ ვილაპარაკოთ... ჰო, მოსკოვში მივდივარ... კარგი, მერე იყოს... როცა ჩამოვალ... რამდენიმე დღით... შენ ნამდვილად რეზო ხარ? კარგი, კარგი... გამოიარე, გოგოებს გაუხარდებათ... თავი მოგვანატრე... აბა, კარგად იყავი! (ღებს ყურმილს. ანას.) შენ ვერ გიცნო? (მაგიდასთან ბრუნდება.) მამაკითე, ბატონო შალვა.

შალვა. არაფერია, გეთაყვა.

ნოდარი. მე მინც მგონია, რომ მთავარი ის არის, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, ხომ მართალია? (მხარზე ხელს ადებს.)

შალვა (თავჩაღუნული). დიახ...

ნოდარი (ანა). ისეთი შეცვლილი ხმა ჰქონდა, ვერ ვიცანი, ალღევებული იყო. (შალვას.) მთავარი მეგობრობაა!

შალვა. მე ახლა წავალ...

ნოდარი. რას ამბობთ? პირველად ხართ ჩემს ოჯახში და ასე უპატივცემულოდ გაგიშვებთ? ანა, აბა დატრიალდი, რამე მოგვიტანე, ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ. რა ღვინო მაქვს, რომ იცოდეთ, რა ღვინო! მე თვითონ დავწურე. ისეთი ღვინო დაღა, თქვენი მოწონებული! ანა, გესმის? (ანა ვადის.) არა, ბატონო შალვა, არსად არ გაგიშვებთ. სანამ ანა სუფრას გაშლიდეს, ნარდი ვითამაშოთ, გავერთოთ, კვირა დღეა, სად გეჩქარებთ? რეჟა არსად გაგეჩქევთ, ნუ გეშინიათ. ჰო, რას ვამბობდი? უსათუოდ უნდა ნახოთ მოსკოვი. მარტო იქაური ცირკი რად ღირს. ოღონდ პირველ რიგში არ დაჯდეთ. კლოუნი ან კალთაში ჩაგიჯდება, ან წყალს შეგასხამს სახეში, ანდა ძალს მოგიქსევს, ან კიდეც იღუბო-ნისტი გაგიყვანს არენაზე და გაგაქრობს. მაყურებელს კი შენც კლოუნი ეგონები. მე თუ მკითხავთ, ყველაზე კარგია მეთე, მეთორმეტე რიგი. ანა, მოგვიტანე რამე, კაცო! გაშაყელი! გავხედავ თორემ, უჩემოდ ვერაფერს გააკეთებენ. (გადის.)

ეკას მათე მაგიდასთან მიჰყავს, სკამზე სვამს.

შალვა. ვერაფერი გამიგია, გეთაყვა. ძალღს გულისთვის კაცის ასე გადაჯდება შეიძლება? კარგი კაცია ნოდარი, ენერგიული, მაგრამ ნუ რას მერჩის? (მათეს დაინახავს, წამოდგება.) უკაცრავად... თქვენ ნოდარის მამა ბრძანდებით?

მათე. არა ბატონო.

შალვა. მე ნოდარის თანამშრომელი გახლავართ (ჯდება.) ფიზიკას ვასწავლი...

მათე. სასიაჰოვნოა, მეც მასწავლებელი ვარ!

22

ანა და რეზო
რეზო. ვნანობ? როგორ გითხრა... შეიძლება... საქმე ის არის, მე იმის დაბრუნება მოვიწოდებ, რაც აღარ არსებობს, ანდა ჩემს თვალწინ ქრება...

ანა. მეც ნაგას გეუბნებოდი!
რეზო. გვიან გამოვფხიზლდი, თუ კი გამოვფხიზლდება შეიძლება დავარქვით იმას, რომ დაინახო, შენ თვითონ აღარ არსებობ, სხვა ხარ, სულ სხვა ადამიანი. ჩემი სულის სიღრმეში ვიღაცა მოკვდა, გულუბრყვილო და ბედნერი... დავიღალე...
ანა. ცხოვრება მიღის და ჩვენც ვიცვლებით... ასეა!
რეზო. ალბათ... (სიგარეტს უკიდებს. პაუზა.) ჩვენ მაშინ მოსკოვში ვიყავით სამივენი, მამაშენი, მე და ნოდარი...
ანა. ვიცი.
რეზო. ექსპერიმენტი ჩქაური ინსტიტუტის ლაბორატორიაში ტარდებოდა...
ანა. ეგვიც ვიცი.
რეზო. ეს უნდა ყოფილიყო ბატონი არჩილის მთელი ცხოვრების გამართლება, მისი ჰიპოთეზის დადასტურება...
ანა. მამა მარტო მაგით ცხოვრობდა.
რეზო. ჰო... უცებ გულის შეტევა მოუვიდა.
ანა. ნეტავი არ ჩამოგეყვანათ, იქნებ იქ ეშველათ რამე.
რეზო. თვითონ მოისურვა... კვდებოდა, ასე გვითხრა... მაპატიე.
ანა. (ცრემლს იწმენდს). არა უშავს...
რეზო. ჩვენც ჩამოგეყვით, თუმცა ერთი წუთითაც კი არ შეიძლებოდა ლაბორატორიის მიტოვება...
ანა. ორივენი უყვარდით!
რეზო. არა! ნოდარს კარიერისტს ეძახდა!
ანა. ესე იგი, ცდებოდა. აი, შენ პროფესორი ხარ, ნოდარი კი...
რეზო. დამაცადე, ისედაც მიჭირს ლაპარაკი. მე აქ აღარ მოვალ, ამიტომ უკანასკნელად ბოლომდე მაინც მომისმინე!
ანა. ხომ ბედავ, გისმენ!
რეზო. ვერაფერი ვეღარ ვუშველეთ...
ანა. მამა რომ კვდებოდა, ნოდარი არ მოგვეშორებია. მე რა შემეძლო? ჩვენთან ათენებდა და აღამებდა, მამაჩემის კაბინეტში, ტახტზე ეძინა, ექიმს ხვდებოდა, ბაზარში დადიოდა, როგორც თავშეუფლებს, ისე გვაბურებდა. წამალს შოულობდა, ექთანს მოჰყავდა. მე არაფრის თავი არ მქონდა, შეშინებული, დაბნეული ვიყავი. ეს იყო ნამდვილი მეგობრობა, არასოდეს დავივიწყებ...

რეზო. **თამაშობდა!**
ანა. არა, ასე არ თამაშობენ! შენ კი დაიკარგე...
რეზო. ჰო, მე დავიკარგე!
ანა. დასაფლავებლის დღესაც კი არ გამოჩნდი.
რეზო. ჰო.
ანა. მეკვდარი მამა წინ მესვენა და შენზე ვფიქრობდი, თითქოს ორი სიკვდილი ერთად მეწვია მაშინ და ამის მერე მოდიხარ და...
რეზო. მინდა, რომ სიმართლე იცოდე.
ანა. მერე ნოდარს ცოლობაზე უარი ვეღარ ვუთხარი. მე არ შემიძლო მისთვის უარი მეთქვა, გესმის?! ქალი ვიღაცას უნდა დაეყარდნოს, ესე ვერ იცხოვრებს...
რეზო. ეს იყო სატანის გეგმა, გამიზნული მთელი მომავალი ცხოვრებისათვის!
ანა. რეზო?!
რეზო. გავჩუმდებოდი, დაგინდობდი, რომ არ ვხედავდი, მართლაც, როგორ ქრები და იკარგები. როგორ კარგავ ყველა იმ თვისებას, რომელიც ასე მიყვარდა...
ანა. ნუ ამბობ მაგ სიტყვებს!
რეზო. აღარ ვიტყვი...

პაუზა.

ანა. პერე?
რეზო. სწორედ იმ დღეებში დაიკარგა ჩანთა, რომელშიაც ბატონი არჩილის ბოლო წლების ჩანაწერები იყო. დღიურები, დაკვირვებები, გამოთვლები, ათასი და ათასი ცდის შედეგი.
ანა. კველავფერი გადავატრიალეთ. ვიცოდი, რომ თან ჩამოიტანა, ვერ კი ვიპოვეთ, გაქრა.
რეზო. ის ჩანთა მე მქონდა!
ანა. შენ?
რეზო. ჰო, მე.
ანა. რეზო?
რეზო. ერთხელ, როცა ბატონი არჩილის კაბინეტში მე და ნოდარი მარტონი დავრჩით, აი, სწორედ მაშინ, მამაშენს მეორედ რომ მოუვიდა შეტევა, ნოდარმა ის ჩანთა მე გადმომცა...

ანა. ნოდარმა გადმოგცა?
რეზო. მიიხრა. ბატონმა არჩილმა დაიბარა, მისი საქმე ჩვენ უნდა გავაგრძელოთო. რა შეიძლება უთხრა მოწაფეს ამაზე კარგი? არაფერი! რამდენადაც დიდი იყო მწუხარება, იმდენად არ დავფარავ, დიდი იყო ამ ნდობით გამოწვეული სიხარული.
ანა. თქვენ მაშინ ამისთვის გეცალათ?
რეზო. მანდა ყველაფერი იცოდეთ.
ანა. მერე?
რეზო. ბევრი ვიფიქრე და გადაწყვიტე, ეს ჩანთა შენ გადმოგცე, როგორც ლიბსეულს ჩვენს შორისო. ეს ნოდარის სიტყვებია, არაფერს ვამატებ. სიმართლეს ვერ დავუკარგავ, ისიც მიიხრა. ძალას არ გატანო. ახლავე უნდა გადაწყდეს, ვინ წავა მოსკოვში და ვინ დარჩება ანასთან. ხომ ვერ მივატოვებთ, მას ახლა მხარში ამოდგომა სჭირდებაო... მოსკოვიდან გამწარებულნი რეკავდნენ, ერთ-ერთი უსათუოდ უნდა ჩავსულიყავით...
ანა. და შენ წასხვდი...
რეზო. უთენია გავფრინდი. სხვათა შორის, ჩვენ ორში ნამდვილად მე შემიძლო საქმის გაგრძელება. რა თქმა უნდა, მხოლოდ ტექნიკური მხარე იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც...
ანა. მაშინ რატომ არ მიიხარა?
რეზო. ვერ გამოიგებდი!
ანა. შენ გჯონია, ახლა გავიგებ?
რეზო. არა, ამის გაგება არ შეიძლება... ბატონი არჩილის დაქრძალვანაც კი ვერ ჩამოვედი, ერთი წუთითაც კი არ შეიძლება ლაბორატორიის მიტოვება. მთელი ათი დღე იქიდან არ გამოვსულვარ. მეგონა, ასე უფრო პატივს ვცემდი ჩემი მასწავლებლის ხსოვნას... ასე იყო ეს ამბავი: მე წავედი, ნოდარი კი შენთან დარჩა!
ანა. კარგად გიგებრიათ!
რეზო. ერთი რამე მინდა დამიჯერო მხოლოდ — ეს არჩევანი ძალიან მძიმე იყო ჩემთვის. მაშინ მჭეროდა, რომ დიდ საქმეს ვეწირებოდი მსხვერპლად. ექსპერიმენტი კი გრანდიოზული იყო: ბუნებასთან ჭიდილი, ადამიანის სიცოცხლისთვის ბრძოლა! რა მოსატანი იყო მასთან ჩემი პირადი სიხარული თუ ბედნიერება... ასე მჭეროდა...

ანა. აღმანს სიცოცხლისთვის ბრძოლა! როგორ უღერს არა? როგორც ქეშმარიტება! თავგანწირვა! თავისუფლება! მუსიკა!
რეზო. ჰო, ბევრი ვიყავი. მაგრამ ეს არ არის მთავარი დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი არჩილის ანდერძი სრულებითაც არ იყო ასეთი. განა შენ თვითონ არ თქვი, ნოდარს მამაჩემის კაბინეტში ეძინაო. ყველაფერი მის ხელთ იყო...
ანა. როგორ ბედავ?
რეზო. მეც შევდიოდი ბატონ არჩილთან, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს. ნოდარმა ის ჩანთა იმიტომ მომცა, რომ დამეჭვებინა მისი სიტყვების სისწორე. ფსიქოლოგიურად ზუსტი სვლა გააკეთა. მე ანკესს წამოვეგე. ასე რომ, ჩემი ახლანდელი ასახელი ძალიან ძვირად დამიფასეს!
ანა. პირქო, ძალიან იაფად, ერთი სულელი გოგოს ფასად, რომელსაც მაშინ ამ ქვეყნის არაფერი ესმოდა.
რეზო. ჩემი უძილობის ფასად, ჩემი სიმართლის ფასად, ჩემი გამწარებული ცხოვრების ფასად! მე ხომ მიცვალბულის ნასღვრალით ვცხოვრობ! მე ხომ ჩემი საკუთარი არაფერი გამოიკეთებია! რატომ წამოვიღე ის ჩანთა? რა წარმოვიდგინე მაშინ: ანდერძი, სახსოვარი, ნდობა?... თუ ჩემი უპირატესობის ნიუთიერი დადასტურება? ჰო, პატივმოყვარეობამ გადაამძლია, მიიხრეს — შენ უკეთესი ხარო! ის ჩანთა კი ნოდარმა ქვასავი. ჩამოვიღე კისერზე და სამუდამოდ დამაბა. მერე უკვე გვიან იყო, ვეღარაფერს ვიტყვოდი, ვეღარ მოვდიოდი შენთან. ერთად-ერთი კაცი, ვინც ეს საიდუმლო იცოდა, ნოდარი იყო. როცა დისერტაცია დავიცავი და ის მოსალოცად მოვიდა, რატომ დამლუპე-მეთქი, ვუთხარი. აი, ნოდარის მეგობრობა! აი, მისი კაიკაცობა! გავიგე, დღეს ჩამოდის. ძალიან კარგი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავდეს, დავილაღე იმ ქვის ორგვით. ხვალ საბჭოს სხდომაზე ყველაფერს ვიტყვი და ვთხოვ. ხარისხი ჩამომართვან. წავალ, წერაქვეს ავიღებ და უბრალო მუსმად ვიმუშავებ. ბოლოს და ბოლოს, ჭერ კიდევ შეიძლება ვუშველო ჩემს თავს. შენ კი... შენ კი, ეტყობა, მაშინ არ მიყვარდი. განა ჩემი სულმოკლეობა ამაზე არ მეტყველებს? ეს სიყვარული მერე დაიბადა, როცა ჩემი სულ-

დაბლობა ვიგრძენი. მხოლოდ შენ შეგეძლო დაგებრუნებინა ჩემთვის ჩნვივე საკუთარი თავი...
ანა (ჩუმად, თითქმის თავისთვის). მე ვინ დამიბრუნებს ჩემს თავს?

რეზო. ასე გადაწყვიტე!
ანა (გამოერკვევა). რა?
რეზო. ასე გადაწყვიტე-მეთქი!
ანა. ყველაფერს საჯაროდ განაცხადებ არა?
რეზო. აღარ შემიძლია!
ანა. მერე შეე მუშად წახვალ ხომ?
რეზო. მიჩვენია წერაქვით ვიმუშაო!
ანა. და ყველაფერი ამით გათავდება, ხომ?
რეზო. ასე ირჩენია!
ანა. შენ იცი, რომ რაც ახლა თქვი, არაფერი მჯერა?
რეზო. ანა?
ანა. არც ერთი სიტყვა!
რეზო. ანა?
ანა. შენ ვინ დაგიჯერებს რამეს?
რეზო. რატომ?
ანა. იმიტომ, რომ შენი თავის მეტი არავინ გახსოვს!
რეზო. არა...
ანა. აი, თუნდაც ერთი მაგალითი ავიღოთ, ეკას როგორ ექცევი? ეს ხომ ეგოიზმია, ჩემო კარგო, ეგოიზმი! აი, რა ვალაპარაკებს შენ!
რეზო. პატიოსნებას გეფიცები, თუმცა, შენ ჩემი პატიოსნება არა გწამს, აზრადაც არ მქონია ეკას მოტყუება. როგორ შეიძლება! ეს ჩემთვის წარმოუდგენელი რამ არის. მე ის დასავით მიყვარს, მეტი არაფერი. და თუ კი ეს ნამდვილად ასეა, თუკი ჩემდა უნებურად ეკას რამე მოეჩვენა, თუ კი მართლაც საფარვით გამოვიყენე, მაშინ ყველაფრის ღირსი ვყოფილვარ, ყველაფრის...

შემოღის ეკა.

ეკა. მე მაინც დამინდეთ!
ანა. ეკა?
ეკა. ყველაფერი მოვისმინე!

რეზო. შენ მაპატიე, ეკა, ყველაზე მეტად შენთან ვარ დამნაშავე ჩემდა უნებურად, ჩემდა უნებურად ასეთი ტყვილი მოგაყენე-ლმერთმა იცოდეს, არ მინდოდა. მაპატიე!
ეკა (ყვირის). გამანებეთ თავი! ყველა! ყველა! ყველა!
ანა. კარგია, რომ შენი ყურით მოისმინე, ძალიან კარგია!

23.

მათე და ეკა

მათე. სანამ ახლგაზრდები ვართ, ცხოვრებისგან ბევრ რამეს ველოდებით. თითქოს საგანძურით სავსე სკივრთან ვღვაჯართ და გვგონია, თავს ავხდით და ის სიმდიდრე ჩვენი იქნება. სულ ცოტა დროა საკმარისი იმისათვის, რომ დავწრბუნდეთ — დაქვჩილი თითების მეტი, სკივრის სახურავის ქვეშ რომ მოგვევა, ცხოვრებისგან არაფერი შეგვრჩენია. ვესმის ჩემი, შვილო? მომისმინე! მერე იმ დაქვჩილი თითებით ჩვენს ცხოვრებას ვაშენებთ და როგორც ჩვენა ვართ, ისეთივეა ჩვენი ცხოვრებაც. ტყვილიც სიმდიდრეა, როცა მართო შენი თითები არ გტკივა, როცა სხვაზეც ფიქრობ. ზოგიერთი გულუბრყვილო ცხოვრებაში ბედნიერებას ეძებს, ბედნიერება კი თვითონ ადამიანია, შვილო. ბევრმა არ იცის ეს და ამიტომ იმედგაცრუებული რჩება. ზოგი უდაბნოში ერთი წვეთი წყლით ძლებს, ზოგი კი იღრჩობა, რადგან ზღვაზე ფიქრობს. ზღვა ყოველთვის შორს არის. ზღვამდე რომ მიხვიდრე, ერთი წვეთი წყლის ფასი უნდა იცოდე. ადამიანი იმედით სულდგმულობს. ქვეყანაზე არავითარ უსინდისობას არ შეუძლია მოუსპოს კაცს იმედი... მომისმინე! საკმარისია გადადგა ერთი ნაბიჯი, როგორც ჩიტმა, შესვა იმედის წვეთი, რომ დაინახო ათასი კეთილი სახე, ათასი ღიმილი, ათასი შენსკენ გამოწვდილი ხელი. ცხოვრების ხეს ყვავილებთან ერთად, ეკლებიც ასხია. მერე რა, რომ ის ყვავილები შეიძლება არასოდეს ჩვენი არ იყოს. სამაგიეროდ ხომ არსებობს, ხომ ანათებს, ხომ გვიხმობს თავისკენ! იმ ეკლებზე ყელის გამო-

ლადრა აღვილია, გაცილებით ძნელია — ერთი ეკალი მაინც რომ მოაშორო იმ ხეს...

ეკა. მე თქვენგან ამას არ ველოდი...

მათე. მომესმინე!

ეკა. თქვენგან ნაინც...

მათე. მომესმინე-მეთქი!

ეკა. ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთია!

მათე. სწორედ ამის მშინია.

ეკა. გეშინიათ და ასე მშვიდად ლაპარაკობთ?

მათე. თვითონ არ ვიცი, რატომ ვლაპარაკობ ასე.

ეკა. თქვენ ხომ ყველაფერი იცით?

მათე. ამიტომ უნდა მომესმინო!

ეკა. ჭკუის დარიგება აღვილია! რატომ ხმა არ ამოიღეთ, როცა თქვენი თანდასწრებით ვკლავდნენ?

მათე. დანშვიდრი.

ეკა. ან თავის დაცვა რატომ არ მასწავლეთ, ან ქვის გული რატომ არ ჩამოიღეთ...

მათე. გული ქვაზე მტკიცეა!

ეკა. ო, ეს ლამაზი სიტყვები! აღარ შემიძლია მათი მოსმენა! ნუ-ოუ ნუგუნის ცემაც აღარ შეგვიძლია ადამიანურად? ნუთუ ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება? მითხარით! თუმცა არ მინდა. ვიცი, რასაც მიბასუხებთ. განა თქვენ ჩემი ბედი განიტერესებთ? იმიტომ არ მეშვებით, იმიტომ მეჩინებთ ამდენს, რადგან ისე იმ უმასწავლებლოდ დარჩენილ ბავშვებზე ფიქრობთ? იქ გინდათ წამოიყვანოთ...

მათე. ჰო!

ეკა. თქვენ არც თვალის ეჭიმი გინდათ და არც არაფერი...

მათე. ჰო!

ეკა. აქედან გინდათ წამოიყვანოთ...

მათე. ჰო!

ეკა. მაშინ მეც დამაცადეთ, მეც ჩემი საზრუნავი მაქვს. აი, მელანოს ფორთოხალი უნდა ვუყიდო, ოქროსფერი, დიდი ფორთოხალი. თქვენ არ გიყვართ ფორთოხალი? იცით როგორი ტკბილია? ფორთოხალი ყველას უყვარს, ყველას! დამანებეთ თავი!

მისამე მოქმედება

24

ნოდარი, რეზო, ანა, ეკა, მათე

ნოდარი ახალი ჩამოსულა. ტახტზე გახსნილი ჩემოდანი ღვეს.

ნოდარი. (სკამის ფეხს ამაგრებს). მეორე ადგილი, მეორე ადგილი ავიღეთ საჯავშირო მასშტაბით, ეხუმრები?! საპატიო დიპლომი, მოლოცვები, მინისტრმა ხელი ჩამომართვა, დროშები ყვავილები, ტერეშკოვა ვნახე. აი, შენ რომ გიყურებ, ისე ვუყურებდი! კიდეც კარგი, შალვა არ წაიყვანე, ვალაირეოდა სიხარულისაგან! გაზეთები თუ მოდის დროზე?

ანა. კი.

ნოდარი. ბინის ქირა თუ შეიტანე?

ანა. კი.

ნოდარი. ტელევიზორი რატომ შემოგიბრუნებია? კარგი, იყოს ასე. სხვათა შორის, შენს ექიმთან ვიყავი. კიდეც ჩამოიყვანეო, მითხრა, აბტალაშიც წაიყვანეო, მოუხდებო. ისე მაგათ ექიმობას რა ვუთხარი მე! თიხისაგან გამოვქერწავ ბავშვს ადამივით, თიხისაგან, ნუ გეშინია! შენ რალაც გამხდარი მეჩვენები, ავად ხომ არ იყავი? რა იყო, არ გაგებხარდა ჩემი ჩამოსვლა?

ანა. როგორ არა

ნოდარი. ცხელი წყალი თუ მოდის? (სკამს ღვამს.) ეს სკამი საუკუნეს გაძლებს! ცხონებაა ახლა ცხელ აბაზანაში ჩაწოლა.

9. თ. კილაძე

თვალის ექიმთანაც მივედი, პროფესორთან, მათეს ამბავი ვუ-
თხარი, ეგ არაფერიაო. ნუ გეშინია, მათე! მატარებლით არ
უნდა იმგზავროს კაცმა, აღარ თავდება ეს გზა! მართლა, აი
კიდეც რა ჩამოგიტანე! გორაკის ქუჩაზე მივდივარ და რას ვხე-
დავ -- ვიტრინიდან პირდაპირ მე მიყურებს. აბა, გამოიცა-
ნი, ვინ მიყურებს? ვერ გამოიცნობ. აბა, ერთი წუთით თვა-
ლი დახუჭე. მართლა დახუჭე, მართლა! (ჩემოდნიდან იღებს
კურდღლის ნიღაბს და თვალდახუჭულ ანას სახეზე უკე-
თებს.) აი, ვინ მიყურებს ვიტრინიდან?

რეზო. კარგად გინადირია!

ნოდარი. სომ კარგია?

რეზო. ძალიან კარგია, ძალიან!

ანა იხსნის ნიღაბს.

ნოდარი. ჩემო რეზო, რა საჭიროა ასეთი ირონია?

რეზო. ირონია?

ნოდარი. სხვათა შორის, ანამ ყველაფერი მიაბზო, სადგურშივე-

რეზო. ძალიანაც კარგი!

ნოდარი. ამიტომ ნულა გავართულვებთ.

რეზო. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა ითქვას?

ნოდარი. ითქვა და გათავდა.

რეზო. არა, ასე არ გამოვა.

ნოდარი. არ მესმის, რა გინდა...

რეზო. ყველაფერი მშვენივრად გესმის.

ნოდარი. რა ტონია ეს, ვჩხუბობთ?

რეზო. როგორც გინდა, ისე იფიქრე.

ნოდარი. საკვირველია... ეკა, გადი სამზარეულოში, სადილს მი-
ხედე!

ეკას თითქოს არ ესმის.

ნოდარი (რეზოს). მე ყველაფერი ისედაც ვიცოდი, რად მინ-
დოდა ანას მოყოლა? ყრუ ვიყავი თუ თვალები არ მქონდა?
მაგრამ ხმას არ ვიღებდი...

რეზო. იცოდი და ხმას არ იღებდი?

ნოდარი. მე სომ შენ ერთხელ უკვე გაპატიე!

რეზო. მაპატიე? თუ ასეა ახლა მეც მომისმინე!

ნოდარი. ეკა, სადილს მიხედ-მეთქი! (რეზოს). იმის მაგივ-
რად, რომ მადლობელი ყოფილიყავი ჩემი... ეკა, რატომ არ
მიდინარ?

რეზო. მე მინდა ეკამაც მოისმინოს!

ნოდარი. რა უნდა მოისმინოს? ჩვენი ლაპარაკი რა ეკას საქ-
მეა? თუმცა... კი, ბატონო, იყოს, აბა, გისმენ!

რეზო. იქნებ შენ თვითონ გეთქვა, როგორ მომატყუე!

ნოდარი. მოგატყუე?

რეზო. ჰო. აკი ანამ ყველაფერი მიაბზო?

ნოდარი. ანას არ უთქვამს, რომ მოგატყუე... რატომ უნდა მომე-
ტყუებინე? ან თუ მოგატყუე, აქამდე სად იყავი, ხმას რატომ
არ იღებდი? აბა, დაიდე გულზე ხელი, მართლა ფიქრობ მა-
გას?

რეზო. დიას, მართლა ვფიქრობ.

ნოდარი. სინდისი, ჩემო რეზო, სიფრიფანა ყინულია, თუ ჩაგი-
ტყდა. დაიხრჩობი.

რეზო. სინდისზე შენ ნუ ლაპარაკობ!

ნოდარი. რა გაყვირებს, განა მე ვყვირი? აქ ჩვენს გარდა სხვე-
ბიც არიან!

რეზო. უკეთესია, ყველამ გაიგოს!

ნოდარი. კარგი, ისევ მე ვიყო წაგებული.. მეგობარს მაინც ვერ
ვაყწირავ...

რეზო. ნოდარ, შენ კეთილშობილი კაცის როლი არ გიხდება,
დაანებე თავი. განა ჩემი მეგობარი ხარ?

ნოდარი. თანაც ერთადერთი! მაგრამ ცალმხრივი მეგობრობა
გვექონია, ამაზე მწყდება გული... მთელ შენს დიდებას მე უნ-
და მიმადლოდე. ახლა დამძიმდა მონომახის ქული?

რეზო. ჰო... აღარ შემიძლია!

ნოდარი. რატომ? რატომ, ჩემო რეზიკო?

რეზო. იმიტომ, რომ მე არ მეკუთვნის!

ნოდარი. ო, რა მწარედ ცდება! ის მართა შენ გეკუთვნის!

რეზო. რატომ მე და არა სხვას?

ნოდარი. რატომ სხვას და არა შენ? ხომ შეიძლება ასედაც და-
ვსვავა კითხვა?

რეზო. ამით რა გამოვა?
ნოდარი. ის, რომ ეგ სხვაგან არ წამოგცდეს, დაგცინებენ, ორ-

მოცა წლის კაცი ხარ და პატარა ბიჭვით კი ლაპარაკობ.
რეზო. მე სხვისი შრომა მივითვისე... შენი წყალობით!
ნოდარი. კიდეც კარგი, ამასაც არ მიკარგავ, კიდეც კარგი. მაღ-

ნოდარი. კიდეც კარგი, ამასაც არ მიკარგავ, კიდეც კარგი. მაღ-

ნოდარი. კიდეც კარგი, ამასაც არ მიკარგავ, კიდეც კარგი. მაღ-

ნოდარი. კიდეც კარგი, ამასაც არ მიკარგავ, კიდეც კარგი. მაღ-

ნოდარი. კიდეც კარგი, ამასაც არ მიკარგავ, კიდეც კარგი. მაღ-

ნოდარი. კიდეც კარგი, ამასაც არ მიკარგავ, კიდეც კარგი. მაღ-

რეზო. რა დანიშნე?

ნოდარი. თანაც შენი ლამაზი თვალების გულისთვის კი არა,

რეზო. როგორ უნდა დაგეთმო ის, რაც შენ არ გეკუთვნოდა?

ნოდარი. ეოთი რამე კი მიკვირს...

რეზო. ჯერ მიპასუხე!

ნოდარი. ერთი რამე კი მიკვირს-მიეთქი, ის ჩანთა, მე რომ მო-

რეზო. აა, ეგეც გითხრა ანამ?

ნოდარი. რა იყო დასამალი?

რეზო. მერე აუხსენი, რატომაც მომეცი?

ნოდარი. იმიტომ მოგეცი, რომ ვიფიქრე, იქნებ რამეში გამოა-

რეზო. შენ ხომ მაინც იცი, რომ იმ ჩანთაში არაფერი ჩემთვის

ნოდარი. მაგიტომაც მიკვირს სწორედ! გამოგეგზავნა ანასთვის.

რეზო. რაში უნდა გამოგეყენებინა?

რეზო. რაში უნდა მჭირდებოდეს?

ნოდარი. ჰოდა, დაუბრუნე ანას. ეგ არაფერი. მაგრამ არის ერთი

რეზო. მინც რას?

ნოდარი. ანა რომ მიატოვე მაშინ, როცა ყველაზე უფრო უჭი-

რეზო. შენს უსინდისობას, ღმერთანი, საზღვარი არა აქვს! გა-

ნოდარი. შეგობრობა ის არის, როცა შეუძლებელს აკეთებ! ისე

ნოდარი. შეგობრობაზე ადვილი რა არის? ვერც იმას გააბატებ, ბატონა

არჩილის დასაფლავებაზე რომ არ ჩამოხვედი, თუნდაც ერთი საათით. რა უნდოდა? დილით ჩამოფრინდებოდი და საღამო ისევ უკან გაბრუნდებოდი. კიდევ კარგი „ტუ“ არსებობს. რეზო ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა ექსპერიმენტის დაყოფა-წყობა!

ნოდარი. ვიცი, რომ საქმისთვის თავდადებული ხარ, მაგრამ მაინც ვერ გაპატიებ ამას. ალბათ, მეცნიერებში ასეა მიღებული. მე კი უბრალო კაცი ვარ და არ მესმის, რა ვქნა! ნუთუ ანაზე მაინც არ ფიქრობდი, რა დღეში იქნებოდა? ანას ხომ მაშინ შენ უყვარდი? (დინახავს, რომ ანა სიგარეტს უყიდებს. ანას.) ოპო, ვეწვეით?

ანა ყურადღებას არ აქცევს.

რეზო. განა შენ თვითონ არ მოაწყვე საქმე ისე, რომ მე თავიდან მოგეშორებინე?

ნოდარი. (ანას უყურებს, გამოერკვევა). რა? ისევ შენსას ამბობ. ჩვენ მაშინ ორივემ რაღაც ავირჩიეთ, ხომ მართალია?

რეზო (ჩუმად). პო...

ნოდარი. შენ მეცნიერება, დიდი მომავალი, სახელი, ბრწყინვალე...

რეზო (აწყვეტილებს). შენ კი — ანა! დრო იხელთე, სხვანაირად არც კი შეგხედავდა ზედ!

ნოდარი. პო... ალბათ... (ანას უყურებს დიდხანს, თვალმოუშორებლად. რეზოს.) შენ თუ ასე გსურს, დავარქვათ ეს სახელი ჩემს არჩევანს. სწორეა, მე ანა მიყვარდა ჩემს თავზე მეტად. ხომ ვერ იტყვი, რომ მე არ შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი, ძალას ხომ არავინ გვატანდა, თქვი!

რეზო. არა...

ნოდარი. სხვათა შორის, არც ანასთვის დაუტანებია ვინმეს ძალა, რომ იცოდეს! თუ კი მე დავრჩი, თუ კი მე არ მივატოვე, მე, რომელსაც, შენი სიტყვით, ზედაც არ უყურებდნენ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, შენ რატომ გაიქეცი, შენ, რომელიც თავბრუს ასვევდი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით, ყვავილებით, განათლებით, ცოდნით! კიდევ ერთს გეტყვი, დარწმუნებული ვარ, შენი არჩევანი მაშინ სხვანაირი რომ ყოფი-

ლიყო. ახლა, ამ წუთს ამაზე იიასებდი, მეტყობდი, მომატყუეო, ანა შემაჩეჩე ხელშიო, ქვასავით დამკიდე კისერზეო, შენ კი სახელი და დიდება გაქვსო. აი, როგორ მოიქცეოდი შენ. ჩემგან ხომ ამის მსგავსი არასოდეს არაფერი გავიგონია?

რეზო (უყვირს). დაანებე თავი, მაგათ ერთმანეთი უყვართ!

ნოდარი. ხომ გითხარი, ეკა, ეს შენი საქმე არ არის-მეთქი? ამათ ერთმანეთი უყვართ? ჰმ! როგორი ბავშვი ხარ! განა შეიძლება ამათ ერთმანეთი უყვარდეთ? რას იტყვი, რეზო? (რეზო თავჩაღუნული დგას. პაუზა.) ანას არც ვეკითხები! როგორი ბავშვი ხარ, ეკა, ცხოვრებისა არაფერი გავგეგმა (რეზოს სიცილით.) გაიგე რა თქვა? (ეკას.) არა, ეკა, სულ სხვანაირად არის საქმე. დამაცადე! რეზოს ვერ უთქვამს რაც უნდა (რეზოს.) მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, ათი წელი გავიდა-მეთქი მას შემდეგ, დრო მაინც მკურნალია. მე და შენ, რეზო, აწი ახალ მეგობრებს ველარ შევიძინო. მოდი, ნუ გავქექავთ ნაცარს, იქ მარგალიტებს მაინც ვერ ვიპოვით. ჩვენ ერთიმეორეს უნდა გავფუტოხილდეთ. რას იტყვი? ჩემგან, ძმაო, ანა ჩემი ხელი! თუმცა არა, მე შენ ხელს ვერ ჩამოგართმევ!

რეზო. რატომ?

ნოდარი. რადგან ასე გინდა...

მათე (ეკას). მოდი აქ, შვილო! (ეკა მათესთან მიდის.) ნუ უსმენ...

ნოდარი. რადგან ასე იმართლებ თავს, დავაუწყებ შენს უგულუობას ანას შიშართ, ანა თუ გაპატიებს, ეს მისი საქმეა, ჩემგან მიპატიებია, რა ვქნა...

მათე (ეკას). ნუ უსმენ!

ნოდარი. ძალიან ძნელი კია...

მათე (ეკას). ნუ...

ნოდარი. გაპატიებ, როგორც მეგობარი, გავჩუმდები, როგორც მახლობელი. სხვა გზა არა მაქვს, მაგრამ არის კიდევ ერთი რამ...

მათე (ეკას). ნუ უსმენ!

ნოდარი. რომლის პატივაც არ შემიძლია, როგორც ადამიანს, კაცს, ძმას...

რეზო (აწყვეტილებს). ვიცი რასაც მეტყვი!

ნოდარი. ეკა ანგელოზია!

რეზო. ანა, რატომ დუმხარ, ხმა ამოილე, ხომ ხედავ, რა ხდება!
ნოდარი. ანამ უკვე გაპატია!
რეზო. ანამ გაპატია, ეკამ გაპატია, შენც გაპატიე, ვინა ვარ მე?
ასეთი რა ჩავიდინე? და თუ ჩავიდინე, მარტო მე ვარ დამნა-
შავე? შენთვის ხომ მე არ მპატიებია, არც ანას უპატიებია და
არც ეკა გაპატიებს!
ნოდარი. ძალიან პრინციპული კაცი ხარ, რეზო!
რეზო. სწორედ რომ ვარ!
ნოდარი. იცი აქლა რას ვფიქრობ, აქნებ ხელს გიშლი, იქნებ
სწორი გზიდან გაცდენ...
რეზო. არ მესმის?
ნოდარი. დღეს რა დაგემართა, არაფერი გესმის. იქნებ ჯობ-
დეს მართლაც მოახსენო ყველაფერი სამეცნიერო საბჭოს...
რეზო. რა უნდა მოვახსენო?
ნოდარი. რაც გადაწყვეტილი გქონდა. მართლაც, აიღებ წერაქვს,
წახვალ, იმუშავე, იქნები შენთვის მშვიდად, ეს ღიღი რამეა...
რეზო. ნუ დამცინი!
ნოდარი. არც მიფიქრია! ფიზიკური შრომა განა დასაცინია? პი-
რიქით. ჩემი აზრით. ნამდვილი შრომა ეგ არის. ცოტა შეიძ-
ლება გაგიჭირდეს, მაგრამ შეეჩვევი, არაფერია.
რეზო. ილაპარაკე, არ გისმენ!
ნოდარი. წარმოგიდგენია, რა დაემართებათ შენს კოლეგებს, ახ-
ლა რომ შურით სკდებიან. შენ მათ სახეში მიაყრი წოდებას, ბი-
ნას, მანქანას, აგარაკს და სამაგიეროდ შენი სინდისის წინაშე
სუფთა იქნები. ვინ აკეთებს ამას? ვის შეუძლია ეს? პირში
ჩალაგამოვლებულებს დატოვებ...
რეზო. არ დაიჯერო, რომ მე ხარისხს ჩამომართმევენ, იმდენი რა-
მე მაქვს გაკეთებული, რომ ეგ არ მოხდება!
ნოდარი. მე წამიყვანე იქ მოწმედ და უსათუოდ ჩამოგართმე-
ვენ. დაისვენებ ბოლოს და ბოლოს, რა ჯობია სულიერ სიმ-
შვიდეს. წინასწარ მშურს შენი. ყველას არ შეუძლია ასეთი
პრინციპული იყოს.
რეზო. არა, ეგ არ მოხდება! თუნდაც იმიტომ, რომ შენ არ იზე-
იმო!
ნოდარი. ნეტავი არ მოხდეს. ეგ შენ გინდა, მე კი არა! მეშინია

... სულ მარტოდ დარჩები. შეგობარი, ჩემს გარდა, ასლაც
არა გყავს, მერე ჩვენთან მოსასვლელი პირიც აღარ გექნება.
იცი რა არის სიმარტოვე? ყველაფერს რომ თავი დავანე-
ბოთ, მარტო სინანული და ფიქრები შეგვაძენ, როგორც ჭიან-
ჭველები ფორთოხლის ნაფტკვენს... არა, რა თქმა უნდა, ჩემს
სახლში შენთვის სკამი ყოველთვის მოიძებნება... კერძოც.
მე არ შემიძლია კაცს ხელი ვკრა ასე, მაგრამ გულითაღობას
ნულა მოგვთხოვ!
რეზო (ჩუმად). ეგ არ მოხდება...
ნოდარი. მე შენ იმდენად მიყვარხარ, რომ შეიძლება მოხდეს!
რეზო. მემუქრები?
ნოდარი. როგორ ვეკადრება? რა სიტყვაა ეგ?
რეზო. გგონია. შენ დაგიჯერებენ და მე ხელს მკრავენ? მე, რო-
მელმაც მთელი ძალა და ენერგია საქმეს მოვახმარე?
ნოდარი. თუკი ორივე დაწვრილებით ავუხსნით ყველაფერს, კი!
რეზო. მე, რომელსაც საკუთარი ცხოვრებაც კი არა მაქვს, იმა-
ტომ, რომ დღე და ღამე ლაბორატორიაზე ვფიქრობ? მაინც
რას იტყვი?
ნოდარი. არც ერთი სიტყვას ზედმეტს, გარდა იმასა, რაც შენ
მე და ანას მოგვიყვები!
რეზო. და მე ხელს მკრავენ?
ნოდარი. რატომ უნდა ავალაპარაკოთ ხალსი?
რეზო. და შენ დაგიჯერებენ?
ნოდარი. ყველას ხომ სათითაოდ ვერ აუხსნი...
რეზო. იცი რას გეტყვი, ახლა კი ნამდვილად გადაწყვიტე, რომ
ყველაფერი ვთქვა! ჩემი შრომით იმდენი კი დავიმსახურე,
რომ გამიგონ!
ნოდარი. მაშ, გადაწყვიტე?
რეზო. კო!
ნოდარი. აი, მესმის! ალტაცებული ვარ შენით! მაგრამ იმას,
როგორ გაგიგებენ, რომ შენ შეგობრების ოჯახის დანგრევა
გინდოდა?
რეზო. ტყუილია!
ნოდარი. ვეღვიეთ შემოსრიალდი ჩემს ოჯახში და ეკაც არ და-
ინდე!

რეზო. ტყუილია...

ნოდარი. რა ამბავი ატყდება! ვითომ გვინდა აყალ-მაყალი? თანაც რატომ? მხოლოდ და მხოლოდ შენი სიჯიუტის გამო. დამიჯერე, ჩემო რეზო, ამოიგდე ეგ ფიქრი თავიდან, მოიტახელი!

რეზო. გამანებე თავი!

ნოდარი. როდემდე უნდა იყო ასე. ოჯახს უნდა მოეკიდო. სასახელო კაცი ხარ, ხალხი ვიცნობს, პატივს გცემს. ეკაც შენს თვალწინ გაიზარდა, შეგეჩვიო... დამიჯერე, მოიტახელი!

რეზო. ორივენი კარგი ღორები ვართ!

ნოდარი (სიცილით). კარგი ერთი! ღორები კი არა, ნამდვილი მეგობრები ვართ. მოიტახელი, ნათესავო!

რეზო (ჩუმად). მე ეკას ღირსი არა ვარ.. (აძლევს ხელს.)

ნოდარი. აი, ასე! ყოჩაღ ძმაო, ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ!

რეზო. თავი გამანებე!

ნოდარი. გაიღმე, კაცო, რა სახე ჩამოგტირის. წავლაპარაკდით ცოტა და გათავდა. გაიხადე პიჯაკი, ძალიან ცხელა ჩვენთან, ნამეტანს ათბობენ, ერთი უნდა სახლმმართველობაში ჩავიდე და ვუთხრა, სუნთქვაც აღარ შეიძლება... გაიხადე, გაიხადე, აი, ასე (შველის პიჯაკის გახდაში.) სკამზე რომ ვადავკიდო, ხომ არაფერი უპირს? მე და შენ განუყრელი ძმები ვართ. ეკას კი რაღაც მოეჩვენა, არც გაემტყუნება, ანგელოზია! შენ რა გეგონა, ეკა? (ეკა არ პასუხობს. ამასობაში ანა სუფრის გაშლას იწყებს, კარადიდან იღებს თევშებს, ჭიქებს, დანა-ჩანგალს, ეკას ანიშნებს, მოდიო. ეკა ანასთან მიდის, ანა აწვდის თევშებს, ეკა მაგიდაზე აწყობს. ანას.) ჭიქებს ხელი არ მოკიდო. ნე თვითონ ავარჩევ! (კარადასთან მიდის.) რეზო, მოდი აქ, რა უცხოსავით ზიხარ? (რეზო მიდის ნოდართან.) ხომ კარგი ჭიქებია? ღვინო პატარა ჭიქით უნდა დალიოს ეკა! (რეზო თავს უქნევს.) მე მოგაწოდებ და შენ დააწყე მაგიდაზე. ეს ჭიქები კი ღიმონათისთვის იყოს, ქალები დაღუგენ. (რეზო მაგიდაზე ჭიქებს აწყობს.) რამდენი ვართ? მათე კინალამ დამავიწყდა! აი, მათეს ჭიქაც! ერთი ექიმთან ვერ წავიყვანე... (რეზოს.) შენ კი ბუზი აქლემად მოგეჩვენა. ახლა დანა-ჩანგალი ჩავაწიკწიკო!

რეზო. ჩავაწიკწიკო... ჩავაწიკწიკო...

ნოდარი. ყველაფერი გაუგებრობის ბრალია!

რეზო. ჰო, გაუგებრობის ბრალია...

ნოდარი. ხვალისა და ისევ სკოლა, საქმე. ნეტა, კიბე თუ შეაკეთეს, ვინმემ ფეხი არ მოიტეხოს. სპორტდარბაზში ორბელი უნდა გამოვცვალო, ვატყდა. უჩემოდ არაფერს ხელს არ გაანძრევს, ყველას თავზე უნდა დაადგე...

ანა. კონსერვი გავხსნათ?

ნოდარი. აუცილებლად! მე თვითონ გავხსნი მერე, ორაგულის კონსერვია, რეზოს უყვარს, ხომ, რეზო? (რეზო თავს უქნევს.) ანა, ხელსახოცები მომწოდე! (ანა აწვდის, ნოდარი ხელსახოცებს კეცავს და თევშების გვერდით ალაგებს.) ოჯახში კაცის ხელი მინცისხვია!

ეკა გაღის.

ნოდარი. სხვათა შორის, ახლა ცოტა გული კი მეთანადრება, ადრე ხომ არ იყო ეკასთვის გათხოვება? ანა, შენ რამდენი წლისა იყავი, რომ გამაბუნებოდა?

ანა. ოცდაორის. (ამის შემდეგ თავისთვის იწყებს თვლას: ოცდასამი... ოცდაოთხი... ოცდახუთი...)

ნოდარი. კი ყოფილა დრო! (რეზოს.) იქნებ არ უნდა გამეტანებინა შენთვის ჩემი და, ხომ არ ავჩქარდი? არ გაინტერესებს, რატომ?

რეზო. რატომ?

ნოდარი. აღამიანების უნდა გჯეროდეს, ჩემო რეზო. არ შეიძლება ასეთი ეჭვი, უნდობლობა... (შემოდის ეკა, თბილი სვიტრი აცვია. აშკარად დიდი აქვს.) ოჰო, პატარძალი როგორ გამოწყობილა! გოგო, ეგ სვიტრი მათეს არ მოუქსოვე?

ეკა. აღარ წავიდე, მათე ბაბუა? აქ მე საქმე აღარ მაქვს! მომეცა ხელი! (ხელს ჩაჰკიდებს მათეს.)

მათე. წავიდე, შვილო. (წამოდგება, ბალტოს სკამზე დებს.) მე შენ გელოდებოდი!

ეკა. ხომ შენდობი?

მათე. გენდობი, შვილო. გამიძეხი!

ნოდარი. რა ცირკია ეს? ეკა! (ეკა და მათე ხელჩაკიდებულები მიდიან.)

ნოდარი. ეკა! (ანას.) რა ხდება აქ? სად წავიდნენ?

ანა. არ ვიცი. (ისევ თვლის.) ოცდათერთმეტი... ოცდათორმეტი...

ნოდარი. ეკა! (დაედევნება. კარებში შალვას შეეჭახება.) გამი-
შვი!

შალვა. აი. ძალღი მოგიყვანეთ!

ნოდარი. ძალღი?

შალვა. რექსა!

ნოდარი. რა დროს ძალღია?! (იძახის.) ეკა!

შალვა. მართალი ხართ, გეთაყვა, თქვენთან უკეთესად იქნება!

ნოდარი (ყვირის). ეკა! ეკა!